ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის
სახელობის სასწავლო უნივერსიტეტი

აგრარულ მეცნიერებათა და ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტი

ქეთევან დარჩიძე

უცხოური ინვესტიციები და მათი ზეგავლენა ბიზნეს გარემოზე

სპეციალობა: ბიზნესის ადმინისტრირება (ფინანსები)

(სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის
აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად)

მეცნიერ-ხელმძღვანელი:
ბიზნესის მართვის დოქტორი,
მოწვეული პროფესორი რ. ცინარიძე

ხიჭაური -2020

ანოტაცია

მსოფლიოში გლობალიზაციის პროცესმა შექმნა კაპიტალის საერთაშორისო მაშტაბით მოძრაობის შესაძლებლობა, რამაც წარმოქმნა ინვესტიციების უზარმაზარი მოცულობა. განსაკუთრებით განვითარებად ქვეყნებში, მათ შორის საქართველოში. ინვესტიციები თავის მხრივ მოქმედებენ ბიზნეს გარემოს განვითარებაზე, რომელიც განაპირობებს ქვეყნის ეკონომიკურ ზრდას. უცხოურ ინვესტიციებს მნიშვნელოვანი როლი აქვს, როგორც მთლიანი ქვეყნის მაშტაბით, ასევე კერძოდ, მისი მიმღები ობიექტის (ბიზნესის) ეკონომიკურ განვითარებაში. უცხოური ინვესტიციების უდიდესი მნიშვნელობის გამო, აუცილებელია ქვეყანამ პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოსაზიდად მოახდინოს მიმზიდველი საინვესტიციო გარემოს ფორმირება.

ნაშრომის მიზანია გამოკვეთოს უცხოური ინვესტიციების როლი ქვეყანაში ბიზნესის განვითარებისთვის, შეაფასოს არსებული მდგომარეობა და მასზე მოქმედი ფაქტორები. კვლევის ობიექტია საქართველოს საინვესტიციო გარემო და მისი დინამიკა ბოლო წლების განმავლობაში. კვლევის საგანია ინვესტიციების სტიმულირება-რეგულირების მიმართულებები და ბიზნეს-გარემოს გაჯანსაღების ღონისძიებები.

ნაშრომში ძირითადად ყურადღება გამახვილებულია ინვეტიციების არსზე და შემადგენლობაზე, საინვესტიციო გარემოს ფორმირების აუცილებელ პირობებზე. განხილულია ინვესტიციებს და ბიზნეს შორის არსებული კავშირი. არსებულ მასალებზე დაყრდნობით შეგვიძლია ვთქვათ, რომ უცხოური ინვესტიციები დონე გვიჩვენებს ქვეყნის ეკონომიკურ პოლიტიკას, სტაბილურობას, საინვესტიციო გარემოს მდგომარეობას და ეკონომიკური ზრდის პერსპექტივას. საქართველოს ბიზნესის განვითარებისთვის განსაკუთრებით ჭირდება ინვესტიციების მოზიდვა, რაც ქვეყნის მაშტაბით გადაჭრის მნიშვნელოვან პრობლემებს და მოახდენს საერთაშორისო ეკონომიკურ სივრცეში ქვეყნის ინტეგრაციას.

Annotation

The process of globalization in the world has created the possibility of capital movement internationally, which has generated a huge amount of investment. Especially in developing countries, including Georgia. Investments in turn affect the development of the business environment, which contributes to the economic growth of the country. Foreign investment plays an important role in the economic development of the country as a whole, as well as in particular, of its recipient facility (business). Due to the great importance of foreign investment, it is necessary for the country to create an attractive investment environment to attract foreign direct investment.

The aim of the paper is to highlight the role of foreign investment in the development of business in the country, to assess the current situation and the factors affecting it. The object of research is the investment environment of Georgia and its dynamics in recent years. The subject of research is investment stimulation-regulation directions and measures for improving the business environment.

The paper mainly focuses on the essence and composition of investments, the necessary conditions for the formation of the investment environment. The relationship between investment and business is discussed. Based on the available materials, we can say that the level of foreign investment shows the country's economic policy, stability, investment climate and economic growth prospects. Georgia's business development especially needs to attract investment, which will solve significant problems across the country and integrate the country into the international economic space.

სარჩევი:

შესავალი 5

თავი I. ინვესტიციები და საინვესტიციო გარემოზე მოქმედი ფაქტორები 8

1.1. ინვესტიციების არსი, მიზნები და შემადგენლობა……...8

1.2. საინვესტიციო გარემო და საინვესტიციო რისკები…….15

1.3 პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ზემოქმედება მიმღები ქვეყნის ეკონომიკურ მაჩვენებლებზე 27

თავი II. უცხოური ინვესტიციები და საქართველოს ბიზნეს-გარემო 34

2.1 უცხიური ინვესტიციების მიცუlიბა და დინამიკა ქართუl ბიზნესში.....34

2.2 განხირციელებუlი უცხიური ინვესტიციების სტიმულირება-რეგულირების მიმართულებები.....44

2.3. საქართველოს ბიზნეს-გარემოს გაჯანსაღების ღონისძიებები თანამედროვე ეტაპზე 50

დასკვნა.....60

გამოყენებული ლიტერატურა.....65

დანართები.....67

შესავალი

თემის აქტუალობა. ქვეყნის ეკონომიკური განვიარებისთვის საჭიროა ფულადი სახსრები და თუ ქვეყნის შიგნით რეალურად არ არსებობს ამ სახსრების მობილიზების შესაძლებლობა აუცილებელია მოზიდული იქნას უცხოური ინვესტიციები, რომელიც არამხოლოდ ფულად სახსრებს არამედ განვითარებულ ტექნიკას, კვალიფიციურ მუშახელს, გაფართოებულ წარმოებას, სწრაფი განვითარების შესაძლებლობას მოუტანს ქვეყანას. სწორედ ამიტომაა დღეისთვის სახელმწიფო დაინტერესებული მაქსიმალური გააკეთოს მიმზიდველი საინვესტიციო გარემოს უზრუნველსაყოფად. თემის აქტუალობას განაპირობებს ქვეყნებს შორის უცხოური ინვესტიციების მოზიდვასთან დაკავშირებით გაზრდილი კონკურენცია. თითოეული ქვეყანა ცდილობს პოლიტიკური, საკანონმდებლო, ინფრასტრუქ-ტურული და სხვა კუთხით გაუმჯობესებული პირობები შესთავაზოს ინვესტორს.

ქვეყანაში არსებულ საინვესტიციო და სამეწარმეო გარემო განსაზღვრავს მწარმოებლურობის დონეს, რადგან იგი გავლენას ახდენს კერძო სექტორში რესურსების გადანაწილებაზე. გლობალიზაციის პროცესი ცვლის საქართველოშიც ბიზნესის მოთხოვნებს, ბიზნესის განვითარება ითხოვს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ზრდას, ამიტომაც აქტუალურია ქვეყნის საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესებაზე სისტემატიური ზრუნვა და მასზე მოქმედი ფაქტორების განსაზ-ღვრა.

ვინაიდან, საქართველოს მოსახლეობის ძირითად ნაწილს არ გააჩნია ისეთი შემოსავალი, რომ მოახდინოს გარკვეული თანხის დაზოგვა, რაც თავის მხრივ აისახება ქვეყანაში დაბალი დანაზოგების დონით, იზრდება უცხოური კაპიტალის როლი. სახელმწიფომ კი, სხვადასხვა წინ გადადგმული ნაბიჯებით უნდა მოახერხოს კონკურენტუნარიანი საინვესტიციო გარემოს შექმნა და უცხოური ინვესტიციების მოცულების ზრდა, რაც განაპირობებს ბიზნესის და ეკონომიკის განვითარებას.

კვლევის მიზნები და ამოცანები. კვლევის მიზანია საქართველოში უცხოური ინვესტიციების დინამიკის და ბიზნესის განვითარების პერსპექტივების გაანალიზება. კვლევა მიზნად ისახავს ანალიზი გაუკეთდეს ქვეყანაში საინვესტიციო პროცესების განვითარებას, უცხოური ინვესტიციების დადებით და უარყოფით

მხარეებს. ასევე განისაზღვროს ინვესტიციების სტიმულირება რეგულირების საკითხები. არსებული მიზნებიდან გამომდინარე ჩამოვაყალიბეთ კვლევის შემდეგი **ამოცანები:**

- დავაზუსტოდ თეორიული განსაზღვრება უცხოური ინვესტიციების;
- განვსაზღვროთ უცხოურ ინვესტიციების განხორციელების რისკ-ფაქტორები;
- გავაანალიზოთ უცხოური ინვესტიციების გავლენა ქვეყნის ეკონომიკაზე;
- განვიხილოთ უცხოურ ინვესტიციებზე მოქმედი გარემოებები და განსაზღვროთ ინვესტიციების მნიშვნელობა ბიზნესის განვითარებისთვის;
- შევისწავლოთ და გავაანალიზოთ თანამედროვე ეტაპზე ბიზნეს გარემოს გაუმჯობესების პირობები.

კვლევის საგანი და ობიექტი. კვლევის საგანია ინვესტიციების სტიმულირება-რეგულირების მიმართულებები და ბიზნეს-გარემოს გაჯანსაღების ღონისძიებები. კვლევის ობიექტია საქართველოს საინვესტიციო გარემო და მისი დინამიკა ბოლო წლების განმავლობაში.

კვლევის მეთოდოლოგია. ნაშრომის მეთოდოლოგიური საფუძველი წარმოდგენილია ეკონომიკური მეცნიერების ფუნდამენტური გამოკვლევებით. სამაგისტრო ნაშრომში გამოყენებულია ქართველი და უცხოელი ავტორების გამოქვეყნებული სტატიები, სამეცნიერო ნაშრომები. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ გამოქვეყნებული სტატისტიკური მონაცემები, მთავრობის დადგენილებები. მსოფლიო ბანკის მიერ გამოქვეყნებული სარეიტინგო მონაცემები, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების განვითარების სამინისტროს საინფორმაციო ბაზა.

კვლევის მეთოდები: ჩვენს მიერ განხორციელებული კვლევის შედეგად შემუშავებული იქნა დასკვნები და რეკომენდაციები. კვლევისას გამოყენებული გვაქვს როგორც რაოდენობრივი, ასევე თვისებრივი და სტატისტიკური მეთოდები. კვლევის ინსტრუმენტი წარმოდგენილია კითხვარის და ანალიზის სახით. კვლევა ჩატარდა შემთხვევითი შერჩვის მეთოდით და მონაცემების სიზუსტისთვის გამოყენებულია შეგროვებითი და შედარებითი მეთოდები.

ნაშრომის სტრუქტურა და მოცულობა. სამაგისტრო ნაშრომი 68 გვერდს შეადგენს მოცულობით. იგი მოიცავს 2 თავს, 6 პარაგრაფს და დასკვნას. ნაშრომის ბოლოს მოცემულია გამოყენებული ლიტერატურის ჩამონათვალი და დანართი.

თავი I. ინვესტიციები და საინვესტიციო გარემოზე მოქმედი ფაქტორები

1.1ინვესტიციების არსი და მისი კლასიფიკაცია

შუა საუკუნეების ევროპულ ქვეყნებში „ინვესტიტურას“ უწოდებენ ზემდგომი პირის მიერ ვასალისათვის თანამდებობის ან მიწის გადაცემას, რომელიც განსაკუთრებული ცერემონიით სრულდებოდა. ძველ დროში გერმანიაში უძრავი ქონების მისი ერთი მფლობელისგან მეორესთვის გადაცემას, აღნიშნავდნენ ამ ნივთის საჯაროდ გადაცემის ცერემონიით. X-XI საუკუნლეებში საგნის, ძალაუფლების, უფლებამოსილებების გადაცემამ რიტუალის სახე მიიღო.

თანამედროვე გაგებით, ინვეტიცია (investe-შემოსვლა) ეწოდება კაპიტალის დაბანდებას ეკონომიკურ საქმიანობაში მოგების და სოციალური ეფექტის მიღების მიზნით. თუმცა ინვესტიციების სხვადასხვა განმარტება არსებობს. მაგალითად, უილიამ შარპისა და მისი თანამოაზრეების აზრით, ინვესტიცია არის „ფულთან განშორება დღეს, ხვალ უფრო მეტის მიღების მიზნით“.

გ. კურტანიძის შეხედულებით „ინვესტიციების ცნებაში იგულისხმება დანახარჯების ერთობლიობა, რომლებიც ხორციელდება განსაზღვრულ პერიოდში კაპიტალის მიზანმიმართული ფორმით ეკონომიკის სხვადასხვა დარგსა და სფეროში, სამეწარმეო და სხვა სახის საქმიანობის ობიექტებში მოგების მიღებისა და ინვესტორთა, როგორც ინდივიდუალური მიზნების,ისე დადებითი სოციალური ეფექტის მიღწევისატვის.“ **(კურტანიძე 2008:5-6)**

„საქართველოს კანონი „საინვესტიციო საქმიანობის ხელშეწყობისა და გარანტიების შესახებ“ ინვესტიციებად მიიჩნევა ყველა სახის ქონებრივი და ინტელექტუალური ფასეულობა ან უფლება, რომელიც დაბანდდება და გამოიყენება შესაძლო მოგების მიღების მიზნით საქართველოს ტერიტორიაზე განხორციელებულ სამეწარმეო საქმიანობაში. ასეთი შეიძლება იყოს:

1. ფულადი სახსრები, წილი, აქციები და სხვა ფასიანი ქაღალდები;
2. უძრავი და მოძრავი ქონება მიწა, შენობა-ნაგებობები და სხვა მატერიალური ფასეულობა;
3. მიწით ან სხვა ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის უფლება, პატენტი, ლიცენზია, „ნოუ-ჰაუ“ და სხვა ინტელექტუალური ფასეულობა;

4. სხვა ქონებრივი და ინტელექტუალური ფასეულობა ან უფლება” **(საქართველოს....2019:2)**

„ინვესტიციებიის როგორც ეკონომიკური კატეგორია განიმარტება შემდეგნაირად: ინვესტიციები-ეს არის რეალური, ფინანსური და ინტელექტუალური რესურსების დაბანდებანი პროექტებში, რომელთა განხორციელებას მივყავართ მატერიალურ-ნივთიერი და ინფორმაციული ფორმით რეალური სიმდიდრის ნამატის მიღებამდე, რასაც თან ახლავს ფულადი სიმდიდრის ნამატის ან მხოლოდ ამ უკანასკნელის ნამატი (საზოგადოებაში ფულადი საშუალებების გადანაწილების ხარჯზე)“. **(ქოქიაური, 2007:159**)

მაშასადემე, ინვესტიციები, როგორც ეკონომიკური კატეგორია წარმოადგენს ეკონომიკურ ურთიერთობებს, რომლებიც ჩნდება ინვესტიციური პროცესის მონაწილეთა შორის ინვესტიციური რესურსების გამოყენების გზით, წარმოების გაფართოების და სრულყოფის მიზნით.

ინვესტიციების პროცესის სუბიექტების მიხედვით საინვესტიციო პროცესის მონაწილეები არიან :

- სახელმწიფო;
- კომპანიები;
- კერძო პირები.

სახელმწიფოს შეუძლია, როგორც მოთხოვნის, ისე მიწოდების მხარეზე მიიღოს მონაწილეობა საინვესტიციო პროცესში. აღმასრულებელ ხელისუფლებას უზარმაზარი თანხები სჭირდება თავისი საქმიანობის განსახორციელებლად, რომელიც უკავშირდება კაპიტალურ დაბანდებებს საზოგადოებრივ ნაგებობათა, გზატკეცილების საცხოვრებელი სახლების მშენებლობას თუ ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებას. მსგავსი პროექტების დაფინანსება სხვადასხა გრძელვადიანი სავალო ვალდებულებების-ობლიგაციების გამოშვებით ხდება. თუმცა, ზოგიერთ შემთხვევაში, აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოები მიწოდების მხარეზეც გამოდიან. თუ, მთავრობას აქვს დროებით გამოთავისუფლებული თანხები,ნაცვლად მიმდინარე ანგარიშზე შენახვისა შესაძლებელია მისი დაბანდება მოკლევადიან ფინანსურ ინსტრუმენტებში შემოსავლის მიღების მიზნით.

კომპანიები სავალო ფასიან ქაღალდებსა და აქციებს, უშვებენ მიმოქცევაში მოკლე და გრძელვადიანი საჭიროებათა დასაფინანსებლად. მაშინ, როცა ფულადი სახსრების სიჭარბე აქვთ, ისინი გამოდიან კრედიტორის როლში. ზოგჯერ, მსხვილი კომპანიები პრაქტიკულად ახორციელებენ ნაღდი ფულის მართვის საკმაოდ აქტიურ და რთულ სტრატეგიებს ისინი არიან მოკლევადიანი ფულადი ინსტრუმენტების მთავარი მომხმარებელი. თუმცა ძირითადად კომპანიები ფულადი სახსრების წმინდა მომხმარებლები არიან. რაც გულისხმობს იმას, რომ უფრო მეტს იყენებს ვიდრე გასცემს.

კერძო პირებს შეუძლიათ საინვესტიციო პროცესში სხვადასხვა ხერხით მონაწილეობა, მათ შეუძლიათ ფული მოათავსონ შემნახველ ანაბრებრებზე, იყიდონ ობლიგაციები და აქციები ან შეიძინონ ქონება. ამასთან, კერძო პირებს ფულად სახსრებზე შეიძლება გაუჩნდეს მოთხოვნა მისი მიზნებიდან გამომდინარე. ვინაიდან, საფინანსო ბაზარზე სახელმწიფო და კომპანიები ფულადი სახსრების წმინდა მყიდველები არიან, კერძო ინვესტორები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ეკონომიკური ზრდისა და განვითარების პროცესში.

ინვესტირება არის თავისუფალი რესურსების დაბანდება სხვადასხვა ობიექტებში გრძელვადიანი მიზნების მიღწევისათვის. ეს მიზნები შეიძლება იყოს;

- „ტექნიკის, მოწყობილობის თუ მიწის შეძენა;
- საწარმოო და არასაწარმოო დანიშნულების ობიექტების შეძენა;
- ფასიანი ქაღალდების, აქციების, ობლიგაციების და ა.შ. შეძენა;
- განათლების დონის, პროფესიული კვალიფიკაციის ამაღლება;
- ლიცენზიის, განსაზღვრული სახის პროდუქციის გამოშვებაზე ან მომსახურების გაწევაზე პატენტის შეძენა;
- ფულადი სახსრების განთავსება საბანკო დეპოზიტებზე გარკვეული პროცენტით;
- ძირითადი საშუალებების აღდგენა და სხვა.“ **(ქოქიაური 2007:59)**

მიზნების მრავალფეროვნების მიუხედავად მათ აერთიანებს ინვესტირების გრძელვადიანი ხასიათი, მიზნების მიღწევის ოპტიმალური გზების შერჩევა გადაწყვეტილებების მიღებისას და მათი გავლენით მოსახლეობის კეთილდღეობისა და ცხოვრების დონის ამაღლება.

ინვესტიციების კლასიფიკაცია განხორციელების ადგილის მიხედვით სამ კატეგორიად ხდება:

1) **ინვესტიციები საწარმოსა და ფირმების ძირითად ფონდებში** როგორიცაა: შენობა-ნაგებობები, მოწყობილიბები, სატრანსპორტო საშუალებები და სხვა, ის საშუალებები რომლებიც გამოიყენება წარმოების პროცესში.

2) **ინვესტიციები სასაქონლი-მატერიალურ მარაგებში**, რომელიც მოიცავს ნედლეულს, დაუმთავრებელ წარმოებას და მზა საქონელს.

3) **ინვესტიციები ბინათმშენებლობაში-** დანახარჯები, რომელიც გამოიყენება არსებული ბინების ვარგისიანობის შენარჩუნებისთვის და ახალი საცხოვრებელი ბინების შეძენისთვის.

ინვესტიციები დაბანდების ხანგრძლივობის მიხედვით არის :

- **მოკლევადიანი ინვესტიციები**-1 წლამდე ვადით;
- **საშუალოვადიანი ინვესტიციები**- 1-3 წლამდე ვადით;
- **გრძელვადიანი ინვესტიციები**- 3 წელზე მეტი ვადით.

გრძელვადიან ინვესტიციები ზრდის დასაქმების დონეს ხანგრძლივ პერიოდში, ასევე მოიცავს ინვესტიციების თანხის დიდ ოდენობას, რომელიც ძირითადი კაპიტალის ფორმირების წყაროს წარმოადგენს, სწორედ ამიტომ, ქვეყნის განვითარებისთვის სასურველ ინვესტიციებად გრძელვადიანი ინვესტიციები მოიაზრება საშუალოვადიან და მოკლევადიან ინვესტიციებთან შედარებით.

საკუთრების ფორმების მიხედვითი ინვესტიციების კლასიფიკაცია ხდება 4 კატეგორიად:

1) **კერძო**-ოჯახური მეურნეობების ან/და კერძო პირის მიერ განხორციელებული ინვესტიცია;

2) **სახელმწიფო**-ქვეყნის მთავრობის მიერ განხორციელებული ინვესტიცია;

3) **უცხოური**-ქვეყნის გარედან შემოსული ინვესტიციები, რომელიც შესაძლებელია განხორციელდეს უცხო ქვეყნის მთავრობის ან მოქალაქის და ორგანიზაციის მიერ;

4) **შერეული**- კერძო, სახელმწიფო და უცხოური ინვესტიციების ერთობლიობა;

ინვესტიციების კლასიფიკაციისას წარმომავლობის მიხედვით გამოყოფენ: ადგილობრივ და უცხოურ ინვესტიციებად. ადგილობრივია ინვესტიცია, რომელიც

განხორციელებულია მოცემული ქვეყნის რეზიდენტის მიერ, ხოლო უცხოურია ინვესტიცია თუ ხდება უცხო ქვეყნის მოქალაქის მიერ სახსრების საზღვარგარეთიდან შემოტანა.

უცხოური ინვესტიციები თავის მხრივ იყოფა 2 ნაწილად:

1) პორტფერული ინვესტიციები;

2) ირიბი ინვესტიციები.

„პორტფერული ინვესტიციები: პორტფერული ინვესტიციები ანუ დაბანდებანი გრძელვადიან ფასიან ქაღალდების შესაძენად, რომელსაც ძირითადად რისკების შემცირების მიზნით მიმართავენ. როგორც წესი, ფასიანი ქაღალდების პაკეტი იმდენად მცირეა, ან ისეა განაწილებული სხვადასხვა ემიტენტებს შორის, რომ იგი არ იძლევა კონტროლის განხორციელების შესაძლებლობას“. **(ჭარაია,2015 :10)**

ირიბი ინვესტირება დაბანდებების განხორციელებაა ფასიან ქაღალდებში ან ქონებრივ ფასეულობათა ნაკრებში, რომლის დროს ინვესტორი ახდენსლლლ

კომპანიის აქციის შეძენას და მოიპოვებს წილს პორტფელში. პორტფელური ინვესტიციები ხორციელდება საფინანსო შუამავლის დახმარებით რომელიც შეიძლება იყოს: კომერციული და საინვესტიციო ბანკი, კერძო ან სახელმწიფო საინვესტიციო კომპანია და სხვა.

პორტფელურ ინვესტიციებს მოკლევადიანი ხასიათის გამო, კაპიტალის არასტაბილურ ნაკადთან აიგივებენ, რადგანაც იგი ქვეყნის ეკონომიკაში არასტაბილურობის გამოჩენისთანავე ტოვებს ეკონომიკას.

რეციპიენტის საქმიანობაზე კონტროლის ხარისხის მიხედვით მოიაზრებენ პირდაპირ, საპორტფელო და სხვა სახის ინვესტიციებს.

1) **პირდაპირი ინვესტიციები** პირდაპირ არის დაკავშირებული საწარმოო პროცესთან და დაბანდება ხორციელდება ძირითად ფონდებში.

2) **პორტფელური ინვესტიციებს** სპეკულაციური ხასიათი აქვთ, დაბანდებები ხდება ფასიან ქაღალდებში შემდგომი კურსის ცვლილებაზე გავლენის მოხდენისთვის.

3) **სხვა ინვესტიციებს** მიეკუთვნება საშუალო და გრძელვადიანი საერთაშორისო კრედიტები, სესხები სავაჭრო კორპორაციებს, ბანკების და ასევე სხვა

საფინანსო ორგანიზაციების. სესხების ვერ დაბრუნების შემთხვევაში შესაძლებელია სტრატეგიული აქტივი გადავიდეს უცხოელების ხელში.

პირდაპირი უცხოური ინვესტიცია წარმოადგენს საერთაშორისო საინვესტიციო საქმიანობის კატეგორიას, რომელიც ერთი ქვეყნის რეზიდენტის მიერ მეორე ქვეყნის ტერიტორიაზე არსებულ საწარმოში წილის ფლობას ამ საწარმოში ეკონომიკური ხასიათის ოპერაციების განხორციელებას გულისხმობს. კერძოდ, ინვესტორს კომპანიის უშუალოდ მართვის უფლება აქვს. პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ხელს უწყობს ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას.

ინვესტიციები კაპიტალის დაბანდების ობიექტების მიხედვით იყოფა:

- რეალური ინვესტიციები;
- ფინანსური ინვესტიციები;
- ინტელექტიალური ინვესტიციები.

რეალური ინვესტიციები არის კაპიტალის განთავსება ძირითადი საშუალებების კვლავწარმოებაში, ინოვაციურ აქტივებში და ინვესტირების იმ ობიექტებში, რომლებიც საწარმოს ოპერატიული საქმიანობის განხორციელებასთან და სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების გადაწყვეტასთანაა დაკავშირებული. რეალური ინვესტიციები გულისხმობს დაბანდებებს უშუალოდ წარმოებაში, ანუ ძირითად კაპიტალში და საბრუნავ საშუალებებში როგორიცაა: დაბანდებები ფასიან ქაღალდებში, კრედიტები, მიზნობრივი ფულადი ანგარიშები და სხვა.

ფინანსური ინვესტიციებს აქვთ გრძელვადიანი და სპეკულაციური ხასიათი. ფინანსურ ინვესტიციებს წარმოადგენს წილობრივ და სავალო ფასიან ქაღალდებში განხორციელებული დაბანდებები, ასევე დეპოზიტური საბანკო ანაბრები.

ინტელექტუალურ ინვესტიციებს მიეკუთვნება: ლიცენზიები, ნოუ-ჰაუ, საინჟინრო-საკონსულტაციო მომსახურება და ა.შ.

საინვესტიციო პროცესის საწყის ეტაპზე ხორციელდება ფულადი სახსრების ფორმირება, რომლის საშუალებით ხდება რეალური აქტივების შექმნა რომელსაც აქვს საწარმოო შენობებისა და ნაგებობების, ტექნოლოგიების და სოციალური ინფრასტრუქტურის ფორმა. საინვესტიციო პროცესის განსაზღვრისათვის აუცილებელია ერთმანეთისგან განვასხვაოთ „დანაზოგებისა“ და „ინვესტიციების“ მნიშვნელობები.

თანამედროვე ეკონომისტები დანაზოგებს და „ოჯახური მეურნეობების“ შემოსავლებს ერთმანეთს უკავშირებენ. ისინი „ოჯახური მეურნეობების“ იმ შემოსავლებს რომლებიც არ გამოიყენება საქონლის და მომსახურების ყიდვისათვის ან გადასახადების გადახდისათვის, დანაზოგებს უწოდებენ. დანაზოგები ჩნდება იმ შემთხვევაში, როცა პროდუქციის რეალიზაციით საწარმოს აქვს მოგება, ამ მოგების ერთ ნაწილს საწარმოს მესაკუთრე იყენებს პირადი მოხმარებისთვის ან მას დანაზოგის სახით ინახავს. მეორე ნაწილი, რომელიც საწარმოში რჩება, გამოიყენება საწარმოს სხვადასხვა მიზნების განხორციელებისთვის. მოგების ამ ნაწილის გამოყენება საწარმოს მფლობელს არ შეუძლია პირადი მოხმარებისთვის. იგი საწარმოო ხარჯებზე შემოსავლის ნამატს ანუ დანაზოგს წარმოადგენს. მოგების ეს ნაწილი პირადი დანაზოგებისგან იმით განსხვავდება რომ, იგი არ ტოვებს იმ საწარმოო სფეროს რომელშიც იგი წარმოიქმნება.

“ამგვარად, დანაზოგები მოხმარებაზე შემოსავლის გადამეტებაა. საზოგადოების დანაზოგებს აყალიბებს მოსახლეობის პირადი შემოსავლების დანაზოგები, საწარმოების გაუნაწილებელი მოგება და სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრების გარკვეული ნაწილი.“**(ქოქიაური, 2007:262)**

დანაზოგების სიდიდეზე მოქმედებს:

- ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური მდგომარეობა;
- საზოგადოების განვითარების დონე;
- დანაზოგების უსაფრთხოების გარანტია.

წარმოების ეფექტიანობის ზრდის შემთხვევაში ჩნდება დაზოგილი ნაწილის გადიდების შესაძლებლობა, ხოლო წარმოების ვარდნისას-დანაზოგების გამოყენება ხდება პირველადი მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. ასევე იმ შემთხვევაში, თუ არ არსებობს დანაზოგების უსაფრთხოების გარანტია საზოგადოება არსებულ შემოსავალს მთლიანად გამოიყენებს მიმდინარე მოხმარებისთვის. მე-20 საუკუნის ბოლოს განვითარებულ ქვეყნებში არსებულმა სტაბილურმა ეკონომიკურმა და პოლიტიკურმა მდგომარეობამ შექმნა ხელსაყრელი პირობები დანაზოგების გაჩენის და მათი მატებისთვის.

“დანაზოგები და ინვესტიციები ურთიერთდაკავშირებული კატეგორიებია. დანაზოგები პოტენციური ინვესტიციებია, ინვესტიციები კი -რეალიზებული

დანაზოგები, რომლებიც ეკონომიკური ან სოციალური ეფექტის მიღებისკენაა მიმართული.(**ქოქიაური, 2007:464**)

მაშინ, როცა სტაბილურია ეკონომიკური და სოციალური მდგომარეობა უფრო მეტი დანაზოგები გარდაიქმნება ინვესტიციებად. შესაბამისად განვითარებულ ქვეყნებში თითქმის მთელი დანაზოგების ინვესტიციებად გარდაქმნა ხდება. სხვაგვარი მდგომარეობაა განვითარებად ქვეყნებში სადაც დანაზოგების ინვესტიციებად გარდაქმნას ხელს უშლის ინფლაციური პროცესები და საზოგადოება ცდილოს არსებული ფული აქციოს საქონლად ან უცხოურ ვალუტად. წარმოების ზრდით იზრდება დანაზოგების არსებობის შესაძლებლობა, რომლებიც გარდაიქმნება ინვესტიციებად. საინვესტიციო პროცესი მდგომარეობს იმ ურთიერთობების ჩამოყალიბებაში, რომლებიც მის მონაწილეებს აკავშირებს წარმოების გაფართოების და სრულყოფის მიზნით საინვესტიციო რესურსების გამოყენებასთან დაკავშირებით.

1.2 საინვესტიციო გარემო და საინვესტიციო რისკები

საინვესტიციო საქმიანობა არის ინვესტიციების დაბანდება, ანუ ინვესტირება და ინვესტიციების სარეალიზაციო პრაქტიკულ მოქმედებათა ერთობლიობა.

საინვესტიციო საქმიანობის სუბიექტები, არიან ინვესტორები, რომლებსაც გააჩნიათ თავისუფალი საინვესტიციო რესურსები და საწარმოები რომლებსაც აქვთ საინვესტიციო რესურსებზე გამოყენების მოთხოვნილება. საინვესტიციო საქმიანობის კიდევ ერთ მხარეს წარმოადგენს შუამავლები, რომლებიც ახდენენ საინვესტიციო ინსტიტუტების ურთიერთქმედებას ამ რესურსების მომხმარებელთან.

„საინვესტიციო გარემო არის იმ ობიექტური ეკონომიკური სოციალური, პოლიტიკური, სამართლებრივი, და სხვა პირობების ერთობლიობა, რომლებიც ინვესტირებისთვის მიმზიდველად აქცევენ (არ აქცევენ) მოცემულ ქვეყანას (რეგიონს, მეურნე სუბიექტს)“ (**ქოქიაური, 2007 :118**)

მაკროდონეზე საინვესტიციო გარემო მოიცავს ინვესტირებისათვის პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური გარემოს მაჩვენებელს.

მიკროდონეზე საინვესტიციო გარემო არის ორმხრივი ურთიერთობები ინვესტორების და სახელწიფო ორგანოების, მიმწოდებლების, კლიენტების, ბანკების, არასაბანკო საფინანსო ორგანოების და ინვესტიციების რეციპიენტებსლ შორის.

ფართო გაგებით კი „საინვესტიციო გარემოში“ მოიაზრება ის ეკონომიკური, ფინანსური და სხვა პირობები, რომლებიც ინვესტიციების ეფექტიანობაზე ახდენენ გავლენას. მაშასადამე, საინვესტიციო გარემოს მნიშვნელობაში მოიაზრება ყველა ის რეალურად არსებული პირობა, რომლებიც განაპირობებენ უცხოური კაპიტალის მოზიდვის მატებას (კლებას). ინვესტორისათვის საივესტიციო გარემო შეიძლება იყოს როგორც ხელსაყრელი, ასევე არახელსაყრელი და ამის განსაზღვრას ახდენს ინვესტორი კონკრეტული გადაწყვეტილების მიღებამდე. ყველა ინვესტორი ახდენს იმ ქვეყნის საინვესტიციო გარემოს შესწავლას და არსებული რისკფაქტორების გაანალიზებას სადაც აპირებს, რომ განახორციელოს ინვესტირება.ქვეყნის საინვესტიციო გარემოს ფორმირებაზე გავლენას ახდენს:

1) ქვეყნის მაკროეკონომიკური მდგომარეობა- მშპ-ის მოცულობა მისი ზრდის ტემპი, ინფლაცია და ვალუტის კურსი სხვა ვალუტებთან მიმართებაში;

2) ექსპორტის რაოდენობა - იმ პროდუქციის წილი რომელიც გადის ექსპორტზე;

3) ქვეყნის სოციალურ-პოლიტიკური მდგომალლრეობა.

ქვეყნის ერთ-ერთი მთავარი საზრუნავი უნდა იყოს საერთო საინვესტიციო გარემოს ფორმირება. ადგილობრივი საინვესტიციის აქტივობის ზრდისათვის აუცილებელია: მოქმედ საწარმოთა რესტრუქტურიზაციის პროცესის დაჩქარება, საინვესტიციო და სალიზინგო კომპანიების ქსელის შექმნა, საბანკო სისტემის სრულყოფა. ყოველივე ამისთვის, კი საკანონმდებლო ბაზის მომზადებაა აუცილებელი.

უცხოელი ინვესტორებისთვის საქართველოში არსებული საინვესტიციო გარემოს არახელსაყრელობას განაპირობებს:

- არასტაბილური პოლიტიკური მდგომარეობა;
- არსებული ეკონომიკური კრიზისი;
- ტექნიკური და ტექნოლიგიური ჩამორჩენილიბა;
- მენეჯმენტის დაბალი დონე;

➢ შემოსავლების და ცხოვრების დონის მკვეთრი სხვაობა რეგიონების მიხედვით;

➢ ადამიანური რესურსების არაკვალიფიციურობა.

ცხრილი №1

საქართველო ეკონომიკური გლობალიზაციის რეიტინგი

ადგილი	ქვეყანა	ქულა
20	მავრიკი	82.16
21	ლატვია	82.08
22	საქართველო	82.02
23	გაერთიანებული სამეფო	81.47
24	გერმანია	80.49

წყარო: https://forbes.ge/news/7643/saqarTvelo-2019-wlis-reitingebSi

2019 წელს 2018 წელთან შედარებით უცხოურ ინვესტიციებთან დაკავშირებული შეფასებით საქართველოში მდგომარეობის გაუარესება შეიმჩნევა და რეიტინგებში საქართველო მე-18 ადგილიდან 22-ე ადგილზე ინაცვლებს. მოცემულ გლობალიზაციის რეიტინგს შვეიცარული ორგანიზაცია „ტექნოლოგიების ფედერალური ინსტიტუტი“ აქვეყნებს და აფასებს ქვეყნებს საერთაშორისო ვაჭრობის, უცხოური კაპიტალის მოძრაობას და მიგრაციას მიხედვით.

ინვესტიციების მოცულობის გაზრდისათვის აუცილებელია, ქვეყანაში არსებული საინვესტიციო გარემო ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში ინარჩუნებდეს სტაბილურობას, ამასთან, იგი უნდა ხასიათდებოდის მოქნილობით ქვეყნის ეკონომიკაში რესურს-ფაქტორების თანაფარდობაში არსებულ ცვლილებების შესაბამისად.ინვესტიციების მოცულობის ზრდაზე დადებითად მოქმედებს:

❖ ეროვნული ეკონომიკის გახსნილობის დონე,ლ

❖ ხელსაყრელი ინფრასტრუქტურა და კომუნიკალლციიის შესაძლებლობა,

❖ პროგნოზირებადი და ხელშემწყობი სამართლებრივი და ინსტიტუციური გარემოს არსებობა,

❖ პოლიტიკური მდგომარეობა.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ზრდა კი, თავის მხრივ იწვევს ახალი ტექნოლოგიების შემოტანას და დანერგვას, მენეჯმენტური გამოცდილების გაზიარებას და ზრდას, დაფინასების ხელსაყრელი წყაროების წარმოქმნას.

ცხრილი №2

კორუფციასთან ბრძოლის რეიტინგი

ადგილი	ქვეყანა	ქულა
39	ჩეხეთი	59
39	ლიეტუვა	59
41	საქართველო	58
41	ლატვია	58
41	სენტ-ვინსენტი და გრენადინები	58

წყარო: https://forbes.ge/news/7643/saqarTvelo-2019-wlis-reitingebSi

ინვესტიციების მოზიდვისთვის აუცილებელია სახელმწიფომ უზრუნველყოს კორუფციის დაბალი დონე რაც ინვესტორს მიცემს მოტივაციას კაპიტალი განათავსოს იმ ქვეყანაში სადაც მშვიდად შეუძლია მიიღოს მოგება. კორუფციის აღმოფხვის კუთხით საქართველოს აქვს წინ გადადგმული ნაბიჯები რაც მის რეიტინგებშიც ისახება. გერმანიაში არსებული ორგანიზაციის „საერთაშორიშო გამჭვირვალობის“ მიერ გამოქვეყნებულ რეიტინგში საქართველო 46 ადგილიდან 41 ადგილზე ინაცვლებს.

საქართველომ, მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში გაწევრინაბის შემდეგ, საგარეო ეკონომიკური ურთიერთობები გაამყარა ამერიკის შეერთებულ შტატებთან და ევროგაერთიანების სხვა ქვეყნებთან. მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში გაწევრიანებით საქართველომ მოახდინა მსოფლიო სავაჭრო სისტემაში სრული ინტეგრაცია. ქვეყანამ მოახერხა სტაბილურობის გამტკიცება და ინვესტიციების მოსაზიდად ხელსაყრელი გარემოს შექმნა. საქართველო მათთვის პროდუქციის გარეთ გატანის ხელსაყრელი პირობების მქონე ქვეყანაა, რომელიც ხასიათდება მოსახლეობის მცირე რიცხოვნობით და მცირე ტევადობის შიდა ბაზრით. 1994 წლიდან საქართველოს მთავრობამ გაატარა ეკონომიკური სტაბილიზაციის პროგრამა

და მისი ხელშემწყობი იყვენენ საერთაშორისო სავალუტო ფონდი და მსოფლიო ბანკი. გატარებულმა პროგრამამ გარკვეული დადებითი შედეგები მოგვცა ინვესტიციების მოზიდვის კუთხითაც, თუმცა ჯერ კიდევ არსებობს ისეთი მნიშვნელოვანი უარყოფითი ფაქტორები როგორიცაა: ფასების არასტაბილურობა , ინფლაციის დონე და ქვეყნის სოციალურ-პოლიტიკური მდგომარეობა.

გადავხედოთ საქართველოს მონაცემეს „ჰეჯირების“ ეკონომიკური თავისუფლების რეიტინგში რომელიც აფასებს ქვეყნის ეკონომიკურ თავისუფლებას, კანონის უზენაესობას მთავრობის რეგულაციების ეფექტიანობას და ღია ბაზრების დონეს.

საქართველო 180 ქვეყანას შორის მე-16 ადგილს ინარჩუნებს 2018-2019 წლებში. აღნიშნულ რეიტინგში ყველაზე დაბალი შეფასება საქართველოს კანონის უზენაესობის კუთხით აქვს, პირველ ადგილი კი ჰონკონგს უჭირავს.

ცხრილი №3

ქვეყნის ეკონომიკური თავისუფლების რეიტინგი

ადგილი	ქვეყანა	ქულა
14	დანია	76.7
15	ესტონეთი	76.6
16	საქართველო	75.9
17	ლუქსემბურგი	75.9
18	ჩილე	75.4

წყარო: https://forbes.ge/news/7643/saqarTvelo-2019-wlis-reitingebSi

თითქმის იგივე პოზიციაზეა „ფრაიზერის“ ეკონიმიკური თავისუფლების რეიტინგშიც რომელიც 162 ქვეყანის ეკონომიკური თავისუფლებას აფასებს მთავრობის ზომის, თავისუფალი საერთაშორისო ვაჭრობის, ფასების სტაბილურობის, კანონის უზენაესობისა და საკუთრების დაცვის მიხედვით. აქ საქართველო 12 ადგილს იკავებს.

ცხრილი №4

„ფრაიზერის“ეკონომიკური თავისუფლების რეიტინგი

ადგილი	ქვეყანა	ქულა
9	მავრიკი	8.07
11	მალტა	7.97
12	საქართველო	7.94
13	ჩილე	7.89
13	დანია	7.89

წყარო:https://forbes.ge/news/7643/saqarTvelo-2019-wlis-reitingebSi

თითქმის იგივე პოზიციაზეა „ფრაიზერის“ ეკონიმიკური თავისუფლების რეიტინგშიც რომელიც 162 ქვეყანის ეკონომიკური თავისუფლებას მთავრობის ზომის, თავისუფალი საერთაშორისო ვაჭრობის, ფასების სტაბილურობის, კანონის უზენაესობისა და საკუთრების დაცვის მიხედვით აფასებს აქ საქართველო 12 ადგილს იკავებს.

თანამედროვე საბაზრო ეკონომიკის პირობებში საინვესტიციო საქმიანობისას, დამოუკიდებელ ინვესტორს უწევს რისკის გაწევა, ამიტომ აუცილებელია, ინვესტორმა კაპიტალდაბანდებების განხორციელებამდე შეისწავლოს ბაზარი, გაეცნოს ქვეყანაში არსებულ სოციალურ-პოლიტიკურ ვითარებას, გაეცნოს ქვეყნის საგადასახადო პოლიტიკას და სხვა. ინვესტორი ყოველთვის დგას არჩევანის წინაშე და ცდილობს ამოირჩიოს მრავალი ალტერნატივიდან მხოლოდ საუკეთესო. საუკეთესო არჩევანი კი გულისხმობს ინვესტირების განხორციელებას დაბალი რისკების პირობებში.

„რისკის“ მნიშვნელობაში იგულისხმება, საწარმოს მიერ საკუთარი რესურსების დაკარგვის, ასევე შემოსავლების სრულად მიუღებლობის და დამატებითი ხარჯების გაჩენის შესაძლებლობა. რისკი წარმოადგენს გაურკვეველ

სიტუაციაში გაუთვალისწინებელი დანაკარგების წარმოქმნის ალბათობას. “ინვესტიციური რისკის“ განმარტებისას სამ ჯგუფს გამოყოფენ:

1.ინვესტიციური რისკი წარმოადგენს პროექტებიდან სახსრების ამოღებასთან დაკავშირებულ რისკს, რასას იწვევს სახსრების არაეექტიანი განთავსება. მსგავსი მიდგომა ავიწროებს ინვესტიციური რისკის წარმოშობის სფეროს,სხვა სახის რისკისაგამ გამოყოფს ინვესტორს და ზრდის მოსალოდნელი დანაკარგების არასრულად აღრიცხვის შესაძლებლობას.

2.ინვესტვესტიციურია ის რისკი, რომელიც საინვესტიციო საქმიანობის პროცესში ჩნდება და მისთვის დამახასიათებელია ინვესტიციების განხორციელების შედეგების მთლიანად ან ნნაწილობრივ მიუღებლობა ან ალბატუბა.აღნიშნული მიდგომა გვაძლევს საშუალებას მაქსიმალური პროგნოზირების იმ მოვლენების დადგომის შემთხვევაში, რომლების რისკის გენერირებას ახდენენ. იგი ინვესტირების ნებისმიერ დონეზე და ნებისმიერ სფეროში მისაღებად მიიჩნევა.

3.ინვესტიციური რისკი ცალკე კატეგორიად არ გვხვდება ეკონომიკურ მოვლენების სისტემაში და საინვესტიციო საქმიანობის მსვლელობაში წარმოქმნილ დანაკარგებს სხვა სახის რისკების ურთიერთქმედება განაპირობებს. მსგავსი მიდგომა ამახინჯებს “რისკის“ცნებას და ამცირებს ინვესტორისათვის მოსალოდნელი შემოსავლების შეფასების საშუალებას.

ინვესტიციურ რისკს ვუწოდებთ საინვესტიციო საქმიანობის პირობების გაურკვევლობის ვითარებაში გაუთვალისწინებელი დანაკარგების წარმოქმნის ალბათობას.**(ქოქიაური,2007: 77)**

ინვესტიციები რისკის დონის მიხედვით იყოფა შემდეგი სახით:

ურისკო ინვესტიციები-წარმოადგენს სახსრების დაბანდებას ისეთ ობიექტებში რომელსაც არ აქვს კაპიტალის და მოსალოდნელი შემოსავლის დაკარგვის საფრთხე და გარანტირებულია წმინდა ინვესტიციური მოგების მიღება.

დაბალრისკიანი ინვესტიციები-წარმოადგენს კაპიტალის ინვესტირებას ისეთ დარგებში,რომელთა რისკი ნაკლებია ბაზრის საშუალო რისკთან შედარებით.

საშუალორისკიანი ინვესტიციების_რისკის დონე შეესაბამება ბაზარზე არსებულ საშუალო რისკის დონეს.

მაღალრისკიანი ინვესტიციების-ჯგუფს მიეკუთვნება,ინვესტირება ბაზარზე არსებულ რისკის დონეზე მაღალი რისკის მქონე ობიეტებში.

ინვესტიციური რისკების ორი სახისაა:

1.**სპეციფიკური** ანუ კომერციული ინვესტიციური რისკი არის საინვესტიციო საქმიანობასთან დაკავშირებული სამეწარმეო რისკის სახესხვაობა რომელიც გამოწვეულია საინვესტიციო პროექტების ან საწარმოს კომერციული საქმიანობის სპეციფიკური თავისებურებებიდან.კომერციულ ინვესტიციურ რისკები გვხვდება მხოლოდ სამეწარმეო საქმიანობის დონეზე და მათ არ გააჩნიათ რეგიონული და დარგობრივი ფორმები.

2.**არასპეციფიკურ** ანუ არაკომერციულ ინვესტიციურ რისკს იწვევს ინვესტორის მიმართ გარე, მაკროეკონომიკური და რეგიონული ტიპის გარემოებები. მაგ. მონოპოლიზმი რეგიონში, საწარმოებში შექმნილი სოციალურ- პოლიტიკური გარემო,ეკოლოგიური საფრთხეები და სხვა. მაკროეკონომიკური და რეგიონული ინვესტიციური რისკები არის არაკომერციული და არასპეციფიკური.ისინი ერთნაირად მოქმედებენ ყველა საინვესტივიო პროექტების ალბათურ შედეგებზე, მოცემულ ქვეყანაში რეგიონსა და დარგში,ამიტომაც ამ რისკების რაოდენობა უნდა გავითვალისწინოტ ინვესტიციური პროცესების სახელმწიფო რეგულირებასა თუ საინვესტიციო პროექტების ეფექტიანობის მაჩვენელების გამოთვლისას.

ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაზე ზემოქმედების მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია სახელწიფოს საინვესტიციო პოლიტიკა, რომელიც გამომდინარებს მაკრო და მიკრო ეკონომიკური ინვესტიციების გაერთიანებაში, ასე რომ, საინვესტიციო პოლიტიკის მნიშვნელოვანი პრინციპი იქმნება სხვადასხვა ეკონომიკური ბერკეტით, როგორიცაა: სახელმწიფო შეკვეთები, საკრედიტო, საგადასახადო და სხვა მარეგულირებელი ინსტრუმენტები, სახელმწიფოს მიერ საინვესტიციო საქმიანიობისთვის ხელსაყრელი ეკონომიკური გარემოს შექმნა. სტაბილური ეკონომიკური გარემო აუცილებელია ქვეყანაში ინვესტიციების მოზიდვისთვის. ინვესტიციებს განასხვავებენ რისკების მიხედვით. რისკები, რომლებიც დაკავშირებულია საინვესტიციო საქმიანობასთან არ არსებობენ თავისუფლად, რაიმე ქმედებისგან დამოუკიდებლად. ის რისკები, რომლებიც

ინვესტორის წინაშეა კაპიტალდაბანდების განხორციელებამდე შეიძლება შემდეგნაირად დაიყოს :

➢**ეკონომიკური რისკი-** რომელიც წარმოიქმნება ქვეყნის ეკონომიკურ სტრუქტურაში მოსალოდნელი ცვლილებების შედეგად და გავლენას ახდენს ინვესტიციის მოსალოდნელ უკუგებაზე.

➢**ინფლაციის რისკი**-ინფლაციის არსებული და საპროგნოზო მაჩვენებელი განაპირობებენ გადახდისუნარიანი მოთხოვნის არსებობას, აგრეთვე გასაღების ბაზრების ფუნქციონირებას.

➢**ადგილმდებარეობის რისკი** - რეგიონში არსებული მდგომარეობა, რომელმაც შეიძლება უარყოფითი ზეგავლენა იქონიონ საინვესტიციო პროექტზე.

➢**პოლიტიკური რისკი** - სამოქალაქო არასტაბილურობასთან და პოლიტიკურ მდგომარეობასთან დაკავშირებული რისკი.

რისკების დაყოფა ასევე ხდება შესაძლო შედეგებზე დამოკიდებულების მიხედვით წმინდა და სპეკულაციურ რისკებად.

წმინდა რისკები გულისხმობს ნულოვან ან უარყოფით შედეგის მიღებას და მას მიეკუთვნებიან: ბუნებრივი, პოლიტიკური, ეკოლოგიური და კომერციული რისკები.

სპეკულაციური რისკები ხასიათდება როგორც უარყოფითი ასევე დადებითი შედეგების მიღების შესაძლებლობით, მას მიეკუთვნება ფინანსური რისკები, რომლებიც კომერციული რისკების ნაწილს შეადგენენ.

ბუნებრივ რისკები დაკავშირებულია ისეთ ბუნებრივ მოვლენებთან როგორიცაა მიწისძვრა, ქარიშხალი, ხანზარი, ეპიდემია და სხვა.

ეკოლოგიური რისკები გამოწვეულია გარემოს დაბინძურებით.

პოლიტიკური რისკები განპირობებულია ქვეყნის პოლიტიკური მდგომარეობით და სახელმწიფოს საქმიანობით. მას მიეკუთვნება:

- საომარი მოქმედებების, რევოლუციის დროს საქმიანობაზე ხელის შეშლა, საქონლისა და საწარმოს კონფისკაცია და ა.შ.
- საგანგებო მდგომარეობის მიზეზით, განსაზღვრული დროით, გარე გადასახადების შეჩერება.
- საგადასახადო კანონმდებლობაში არახელსაყრელი ცვლილებები.
- გადასახდელ ვალუტაში ეროვნული ვალუტის კონვერსიის შეზღუდვა.

სატრანსპორტო რისკი უკავშირდება ტრანსპორტით გადაზიდვებს, როგორიცაა საავტომობილი, საზღვაო, სარკინიგზო თუ საავიაციო გადაზიდვები.

კომერციული რისკები არის საფინანსო-საწარმოო პროცესში დანაკარგების საშიშროება. სტრუქტურული ნიშნით კომერციული რისკებიდან გამოყოფენ: ქონებრივ, საწარმოო, სავაჭრო, ფინანსურ რისკებს.

ქონებრივი რისკები - ეს რისკები დაკავშირებულია ქურდობით, გულგრილობით, ტექნოლოგიური სისტემის გადატვირტვით განპირობებულ ქონების დაგარგვასთან.

საწარმოო რისკები-დაკავშირებულია ძირითადი და საბრუნავი ფონდების დაზიანებასთან ასევე ახალი ტექნიკის და ტექნოლოგიის დანერგვასთან,რომლებიც იწვევენ საწარმოს გაჩერებას.

სავაჭრო რისკები არის რისკები,რომლებიც უკავშირდება გადახდების დაგვიანებას,საქონლის ტრანსპორტირების დროს გადახდაზე უარის თქმას ან საქონლის გადაზიდვისას შექმნილ ხარვეზებს.

ფინანსური რისკები წარმოადგენს ფინანსური რესურსების დაკარგვის ალბათობას.მასში გამოყოფენ ფულის მყიდველობის უნართან დაკავშირებულ რისკებს და საინვესტიციო რისკებს. ფულის მსყიდველობის უნართან დაკავშირებული რისკებია: ინფლაციური და დეფლაციური რისკები,სავალუტო რისკები და ლიკვიდობის რისკები.

ინფლაციური რისკები გამოწვეულია იმით, რომ ინფლაციის ზრდა იწვევს მიღებული ფულადი შემოსავლების რეალური მსყიდველობითი უნარის კლებას, რომელიც მიმდინარეობს შემოსავლების ზრდასთან შედარებით ბევრად სწრაფად.

დეფლაციური რისკები განპირობებულია იმით, რომ დეფლაციის გაზრდის პარალელურად ეცემა ფასების დონე და მცირდება შემოსავლები.

სავალუტო რისკები უკავშირდება საკრედიტო, გარე ეკონომიკურ და სხვა სავალუტო ოპერაციის ჩატარებისას ერთი უცხოური ვალუტის მეორესთან კურსის ცვალებადობას.

ლიკვიდურობის რისკი ფასიანი ქაღალდების ან სხვა საქონლის რეალიზაციისას წარმოქმნილი რისკებია, რომლებიც დაკავშირებულია მათი ხარისხის ან სამომხმარებლო ღირებულების შეფასების ცვლილებასთან.

საინვესტიციო რისკები მოიცავს შემდეგი სახის რისკებს:ხელიდან გაშვებული სარგებლის რისკები,შემოსავლიანობის დაწევის რისკები და პირდაპირი ფინანსურ დანაკარგების რისკები.

ხელიდან გაშვებული სარგებლის რისკები-რომელიც წარმოიქმნება რაიმე ღონისძიების შეუსრულებლობით გამოწვეული არაპირდაპირი ფინანსური დანაკარგებით შემოსავლიანობის დაწევის რისკებით.

შემოსავლიანობის დაწევის რისკები- შეიძლება გაჩნდეს პორტფელური ინვესტიციებზე ანაბრებზე და კრედიტებზე პროცენტების ზომის და დივიდენდების შემცირების დროს.

საპროცენტო რისკებია კომერციული ბანკების, საკრედიტო დაწესებულებების და საინვესტიციო ინსტრუმენტების მიერ ფინანსური სახსრების დაკარგვა, რომელიც დაკავშირებულია მოზიდულ სახსრებზე საპროცენტო განაკვეთის გაზრდასთან იმ განაკვეთთან შედარებით, რომელიც აქვს ინვესტორს დივიდენდებზე, აქციებზე ობლიგაციებზე და სხვა ფასიან ქაღალდებზე პროცენტული განაკვეთების ცვლილებით. საპროცენტო რისკი აქვს იმ ემიტენტს, რომელიც ბრუნვაში უშვებს საშუალო და გრძელვადიან ფასიან ქარალდებს ფიქსირებული პროცენტით.პროცენტის საბაზრო ღირებულების ზრდის პირობებში ფასიანი ქაღალდების ღრებულება კლებულობს, შეიძლება გაიზარდოს მოთხოვნა იმ ფასიან ქაღალდებზე რომლებიც უფრო დაბალი ფიქსირებული პროცენტითაა ემიტირებული. რისკის ქვეშ ექცევა ის ინვესტორი, ვინც სახსრები ჩადო საშუალო და გრძელვადიან ფასიან ქაღალდებში ფიქსირებული პროცენტით საბაზრო პროცენტის ფიქსირებულ დონესთან შედარებით ზრდის დროს.

საკრედიტო რისკს მიეკუთვნება, მევალის მიერ კრედიტორისათვის როგორც ძირითადი ვალის ასევე პროცეცენტების არ გადახდის საშიშროება, ასევე სასესხო ფასიან ქაღალდების ემიტენტის მიერ მათზე პროცენტების ან სესხის ძირითადი თანხის დაუფარველობა. აკრედიტო რისკებში გამოყოფენ შემდეგ ქვეჯგუფებს: საბირჟო რისკები, გაკოტრების რისკები, სელექციური რისკები და საკრედიტო რისკები.

საბირჟო რისკებს მიეკუთვნება საბირჟო დანაკარგების საშიშროების რისკები, როგორიცაა: კომერციული გარიგებების გადაუხდელობის, საბროკერო ფირმების საკომისიოების გადაუხდელობის რისკები და სხვა.

სელექციური რისკები გამოწვეულია ინვესტირებისათვის ფასიანი ქაღალდების არასწორი არჩევანით, კაპიტალის ჩადების სახეების, პორტფელის ფორმირებისას.

გაკოტრების რისკები წარმოადგენს კაპიტალის არასწორი ჩადებით, მეწარმის მიერ საკუთარი კაპიტალის სრული დაკარგვით გამოწვეულ რისკებს.

საინვესტიციო პროექტების რეალიზაციისას უნდა გავითვალისწინოთ ის რისკები, რომლებიც თან სდევს საქმიანობის ამ სფეროს და რეალურად არსებობენ აღნიშნული რისკების ქვეშ. რაც ნიშნავს რომ განსხვავებული პროექტებისთვის უნდა შეიქმნას რისკების ცალკეული კლასიფიკაცია რომელიც დაგვეხმარება უფრო კონკრეტულად განვსაზღვროთ მოცემული პროექტის რეალიზაციის რისკები.

საინვესტიციო პროექტების რისკების სისტემა შეიძლება დავყოთ სამ ჯგუფად: საგარეო რისკები, შიდა რისკები, საქმიანობასთან დაკავშირებული რისკები.

საგარეო რისკები არაა განპირობებული საინვესტიციო პროექტის მონაწილეთა ქმედებებით, ეს რისკები მოქმედებენ ამ დარგში განხორციელებულ ყველა ინვესტიციებზე.

საგარეო რისკებს მიეკუთვნება:

- სახელმწიფო რეგულირების ფორმები;
- პოლიტიკური სიტუაციის ცვლილება;
- ბუნებრივი კატასტროფები;
- ეკოლოგიის გაუარესება;
- დანაშაულებები;
- მოცემული საქმიანობის სფეროს პირობების გაუარესება.

შიდა რისკები:

- არაეფექტური მართვა;
- არაეფექტური მარკეტინგი;
- არაკონკურენტუნარიანი პროდუქცია;
- არასაკმარისი საწარმოო პოტენციალი;
- ფინანსური მდგომარეობის გაუარესება;

- სამართლებრივი რისკები.

საქმიანი რისკები წარმოიშობა საწარმოს სხვა კომერციულ ან არაკომერციულ სტრუქტურებთან ურთიერთობის დროს. იგი კავშირშია საბრუნავი საშუალებების წრებრუნვის წყვეტით გამოწვეულ დაუმთავრებლობასთან, საქმიანი რისკების განსაზღვრისას ასევე მნიშვნელოვანია საწარმოს აღჭურვილობის მოწოდებელთა საიმედოობა.

საქართველოში თანდათანობით იქმნება ხელსაყრელი პირობები საინვესტიციო საქმიანიბის მაშტაბური რეალიზაციისთის, მაგრამ გასათვალისწინებელია მათი დაფინანსების და რეალიზაციის რისკები და აუცილებელია ამ რისკების მართვა.

საინტერესოა ის ფაქტორი, რომ ინვესტიციების განხორციელება საზღვარგარეთულ ბაზრებზე უფრო სარისკოა, ვიდრე ქვეყნის შიგნით. ეს ფაქტორი განპირობებულია სხვა რისკებთან ერთად დამატებითი რისკებით საერთაშორისო ინვესტიციებში. ეს რისკებია:

- პოლიტიკური რისკები.
- სავალუტო რისკები
- ლიკვიდობის რისკი

1.3 პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ზემოქმედება მიმღები ქვეყნის ეკონომიკურ მაჩვენებლებზე

უცხოური ინვესტიციების ორი სახე განიხილება: პორტფელური ინვესტიციები და პირდაპირი ინვესტიციები. პირდაპირი უცხოური ინვესტიციები არის ინვესტიციები, რომლელსაც აქვს გრძელვადიანი ხასიათი და უცხოელი ინვესტორი ფლობს აქტივების 10% და მეტს. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემოდინებაზე გავლენას ახდენს ქვეყნის შიდა ბაზარზე არსებული მდგომარეობა, მაკროეკონომიკური თავისუფლება, ქვეყნის პოლიტიკური სტაბილურობა.

გლობალიზაციის პროცესი როგორც განვითარებულ, ისე განვითარებად ქვეყნებს, აძლევს სწრაფი ეკონომიკური ზრდის საშუალებას საერთაშორისო

ვაჭრობასა და კაპიტალზე წვდომის გამარტივების საშუალებით. აქედან გამომდინარე, გაზრდილია პირდაპირი უცხოური ინვესტიციების როლიც ეკონომიკის განვითარებაში. პირდაპირი უცხოური ინვესტიციები მიმზიდველია ინვესტორისთვის აქტივების ეფექტიანად გამოყენების კუთხით, ხოლო ინვესტიციების მიმღები ქვეყნისთვის ხელსაყრელია უახლესი ტექნოლოგიის ათვისების, საერთაშორისო წარმოებისა და ვაჭრობაში ჩართვის შესაძლებლობით.

ბოლო ათწლეულებში განვითარებად ქვეყნებში მოხდა საინვესტიციო სისტემის ლიბერალიზაცია პირდაპირი ინვესტიციების მოცულობის გაზრდის მიზნით, რომელიც დადებითად მოქმედებს ეკონომიკურ განვითარებაზე, შემოსავლის ზრდაზე და ხელს უწყობს დასაქმებას. პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ხელს უწყობს ქვეყანაში კაპიტალის მოცულობის ზრდას, იგი ასევე ახდენს საგარეო ვაჭრობის ხელშეწყობას რომლის საშუალებითაც ხდება მიმღები ქვეყნის ეკონომიკის ინტეგრაცია გლობალურ ეკონომიკაში.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ახდენს ადამიანისეული კაპიტალის განვითარებას და ხელს უწყობს დასაქმებას.

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დადებითი ეფექტი პირდაპირი ინვესტიციების განხორციელებისას არის ტექნოლოგიური გადადინების ეფექტი. თანამედროვე ტექნოლოგიებზე წვდომის მეშვეობით, ადგილობრივ კომპანიებს საშუალება აქვთ მოახდინონ პროდუქტიულობის ზრდა.

პირდაპირი ინვესტიციების განხორციელებისას კომპანიები შემდეგნაირად მოქმედებენ:

1. ახდენენ წარმოშობის ქვეყანაში წარმოებული პროდუქციის ექსპორტს,
2. ლიცენზიის გადაცემას უცხოური კომპანიისათვის,
3. შვილობილი კომპანიების დახმარებით პროდუქციის გავრცელებას,
4. პროდუქციის წარმოებას საზღვარგარეთ.

მოძრაობა პირველი ნაბიჯიდან მეოთხემდე ზოგიერთ შემთხვევაში სარისკოა და დიდ დაბანდებებს საჭიროებს, თუმცა ზოგიერთი კომპანია ამ თანმიმდევრობის გვერდის ავლით პირდაპირ ახდენს პროდუქციის წარმოებას საზღვარგარეთ ან შვილობილი კომპანიის მეშვეობით პროდუქციის გავრცელებას.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ხელს უწყობს კონკურენციის დონის ზრდას ადგილობრივ ბაზარზე რაც თავის მხრივ უზრუნველყოფს მაღალ პროდუქტიულობას, ინოვაციებს, ფასების დაბალ დონეს და რესურსების ეფექტიან გადანაწილებას.

„პირდაპირი უცხოური ინვესტიციებისათვის დამახასიათებელ ორი ტიპის ეფექტს გამოყოფენ, კერძოდ: შემთხვევას, როდესაც უცხოური ინვესტორები პირდაპირი უცხოური ინვესტირებას ამა, თუ იმ ქვეყანაში ახორციელებენ, შემდგომ ქირაობენ ადგილობრივ კადრებს და ასწავლიან მათ ახალი ტექნოლოგიების, მარკეტინგული ტექნიკისა და ა.შ. გამოყენებას - ჰორიზონტალური გადადენის ეფექტი ეწოდება.

ჰორიზონტალური გადადენისგან განსხვავებით, ვერტიკალური გადადენის ეფექტი, უცხოელი ინვესტორების მხრიდან ადგილობრივისათვის უპირატესობის გაზიარებას კი არ გულისხმობს, არამედ იგი ეკონომიკის ერთი დარგის განვითარებით სხვა დარგების განვითარების წახალისებას მოიაზრებს.“ **(ჭარაია,2015:43-44)**

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოტივაცია ინვესტორებისა და ადგილობრივ ეკონომიკაზე დაყრდნობით 4 ნაწილად შეიძლება წარმოვადგინოთ:

პირველ ჯგუფში (რესურსების მაძიებელი) ერთიანდება ისეთი კომპანიები, რომლებსაც სურთ საჭირო რესურსები, იმაზე დაბალი ღირებულებით, ვიდრე მათ ქვეყანაშია.

მეორე ჯგუფი აერთიანებს საწარმოებს, რომლების ინვესტირების მიზანია საქონლის ან მომსახურების მიწოდება ამ ქვეყნის ან მეზობელი რეგიონების ბაზრებზე. ასეთ ინვესტორებს ბაზრის მაძიებელ ინვესტორებსაც უწოდებენ.

მესამე იგივე ეფექტიანობის მაძიებელი ინვესტორები, მაქსიმალური მოგების მიღების მიზნით, პირდაპირ ინვესტიციებს ახორციელებს ისეთ ქვეყნებში, სადაც ეფექტიანი ინფრასტრუქტურა, სტაბილური პოლიტიკური და ეკონომიკური მდგომარეობაა.

მეოთხე სტრატეგიული აქტივების მაძიებელთა ჯგუფს მიეკუთვნება, ის ტრანსეროვნული კომპანიები, რომლებიც ახდენენ იმ აქტივების ათვისებას,

რომლებიც ხელს შეუწყობს მათ გრძელვადიანი სტრატეგიული მიზნების მიღწევასთან ერთად კონკურენტუნარიანობის შენარჩუნებას.

პირდაპირ უცხოურ ინვესტიციოების შემოდინებას და მთლიან შიდა პროდუქტს შორის არსებობს უკუკავშირი:

1.„პირველ რიგში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების საშუალებით ხორციელდება ტექნოლოგიების შემოდინება. ადგილობრივ ბაზარზე კონკურენციის გამძაფრების გზით საქონლის ხარისხის ამაღლება.

2.პირდაპირი უცხოური ინვესტიციებს თან სდევს ახალი მიდგომები ორგანიზაციისა და კადრების მართვაში, რაც ამაღლებს ადგილობრივი სამუშაო ძალის კვალიფიკაციასა და გამოცდილებას.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ზრდით გამოწვეული (კორპორაციული) მოგების ზრდა ქვეყანაში იწვევს საგადასახადო შემოსავლების ზრდასაც.“ **(ჭარაია,2015:42)**

პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებს დადებით მხარესთან ერთად აქვს უარყოფითი გავლენაც. უცხოური ინვესტიციებმა შეიძლება ადგილობრირივი ინვესტიციების გამოდევნა გამოიწვიოს. უცხოური ინვესტიციებით შექმნილი კომპანიები დაბალი დანახარჯების გამო ახდენენ წარმოების მოცულობის გაზრდას და ამის საშუალებით იზიდავენ მომხმარებლებს. მომხმარებელთა სიმცირის გამო ხდება წარმოების მოცულობის შემცირება ადგილობრივი მწარმოებლების მხრიდან და ამით იზრდება მათი დანახარჯები. ადგილობრივი ინვესტიციების გამოდევნა შეიძლება მოხდეს მაშინ, როცა უცხოელი კონკურენტების მაღალი პროდუქტიულობა, ფინასურ რესურსებზე და გარე ბაზრებზე მარტივი წვდომა და მაღალი ხარისხი იწვევს ადგილობრივი ფირმების გაქრობას, რომლის დროსაც ჩნდება სოციალური დანაკარგები, მათი აღმოფხვრა ხდება ადგილობრივი მცირე და საშუალო ბიზნესის დახმარებით.

“მარქსისტული“ სკოლის აზრით საერთაშორისო კორპორაციები სპეციალურად იყო შექმნილი ნაკლებად განვითარებულ ქვეყნებზე ზეგავლენის მოპოვებისთვის. მათი მტკიცებით, როგორც სოციალისტურ წყობის ქვეყნებს ასევე განვითარებად ქვეყნებს არ უნდა დაეშვათ საერთაშორისო კორპორაციების მეშვეობით მათ ქვეყნებში ინვესტიციების განხორციელება, ვინაიდან ამგვარ

ინვესტიციებს ისინი განიხილავდნენ, არა როგორც ეკონომიკურ ინსტრუმენტს, არამედ ქვეყნის დამონების საშუალებას. მარქსისტთა აზრით დასავლეთის იმპერიალისტური წყობილება, განვითარებადი ქვეყნების ექსპლუატაციას და იქ არსებული რესურსების თავისთან გადატანას ცდილობდა, განვითარებულ ქვენებში არსებულ ახალი ტექნოლოგიების და კვალიფიციური მუშახელის საშუალებით. მათი აზრით უკვე განხორციელებული პირდაპირი ინვესტიციების შემთხვევაში ქვეყნებს თავის დასაცავად უნდა მოეხდინა მათი ნაციონალიზება.

გასათვალისწინებელია, რომ ქვეყნის ეკონომიკური ზრდა და განვითარება, ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის ამაღლება დამოკიდებულია საინვესტიციო აქტიურობით და საინვესტიციო საქმიანობის მაშტაბით. სწორედ პირდაპირი უცხოური ინვესტიციები გვიჩვენებს ქვეყნის სტაბილურობის დონეს, ეკონომიკური პოლიტიკის მდგომარეობას, ხელსაყრელი საინვესტიციო გარემოს არსებობას და ეკონომიკური ზრდის პერსპექტივას. ამიტომ ჩვენს ქვეყანას სჭირდება ინვესტიციების მოზიდვა, რომელმაც უნდა გადაჭრას ქვეყანაში არსებული დასაქმების პრობლემა და შესაძლებლობა მისცეს შემოსავლების ზრდის, ინოვაციური ტექნოლოგიების დანერგვის, საექსპორტო პოტენციალის ზრდის საერთაშორისო ეკონომიკურ სივრცეში ინტეგრაციის განხორციელებას.

დიაგრამა №1

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების დინამიკა.



წყარო: საქათველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

2020 წლის პირველ კვარტალში საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობა 165.4 მლნ. აშშ დოლარია, 2019 წლის მეოთხე კვარტალთან შედარებით 41.7 პროცენტით ნაკლებია.

2019 წელს 2018 წელთან შედარებით უცხოური ინვესტიციების მოცულობა გაიზარდა რასაც ვერ ვიტყვით 2020 წელზე, მიმდინარე წელს ინვესტიციების შემცირების სხვადასხვა მიზეზი არსებობს მათ შორის აღსანიშნავია მაგისტრალური გაზსადენის მშენებლობის პროექტის დასრულება, ამასთანავე რამდენიმე საწარმოს გადასვლა საქართველოს რეზიდენტის საკუთრებაში,თავისი როლი ითამაშა კოვიდ პანდემიამაც, მოსალოდნელი არასტაბილურობის პირიბებსი ინვესტორები ფრთხილობენ და ცდილობენ გარკვეული პერიოდით თავი შეიკავონ ახალი ინვესტიციების განხორციელებისგან.ინვესტიციების კლების მიზეზი უცხოეთიდან შემომავალი საინვესტიციო ნაკადების შემცირებაა,ასევე რამდენიმე შემთხვევაში მოხდა საქართველოდან ინვესტიციების გადინებაც, ინვესტორების ვალდებულებების მომსახურებასთან დაკავშირებით. რამდენიმე ის ქვეყანაში, რომლებიც იყვნენ საქართველოს ტოპ ინვესტორები, დაფიქსირდა ინვესტიციების ნაკადების გასვლა. მაგ. აზერბაიჯანში საქართველოდან 13.9 მილიონი დოლარი გავიდა. ასავე, გამსვლელი საინვესტიციო ნაკადმა ბრიტანეთის ვირჯინიის კუნძულებში შეადგინა მინუს 38 მილიონი დოლარი.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციებს დადებითი გავლენა აქვს მიმღები ქვეყნის ეკონომიკაზე, მათი საშუალებით ხდება ინვესტიციური რესურსების ზრდა, რაც განაპირობებს ეკონომიკური ზრდასაც. მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ ინვესტიციებს ახასიათებს მულტიპლიკატორის ეფექტი, რაც გულისხმობს იმას, რომ კონკრეტულ დარგებში მიმართული ინვესტიციები იწვევს მომიჯნავე დარგების განვითარებას, დადებითი ეფექტი აქვს ეროვნული რესურსების გამოყენების და დასაქმების ზრდის კუთხითაც. უცხოური ინვესტიციების საშუალებით ხდება იმ რესურსების ათვისება რომლებიც ინვესტიციების არ არსებობის შემთხვევაში აუთვისებელი დარჩებოდა. ინვესტიციების ზეგავლენით განვითარებადი ქვეყნების სამუშაო ძალამ, რომლებიც დასაქმებულები არიან საერთაშორისო წარმოებაში, შეიძინა ის ახალი ცოდნა და გამოცდილება რომლის საშუალებითაც თავისუფლად ახერხებს კონკურენცია გაუწიოს განვითარებულ ქვეყნების სამუშაო ძალას.

საყურადღებოა ის საკითხიც, რომ ეროვნული რესურსების გამოყენების საშუალებით მიღებული „პირდაპირი“ ეფექტის ძირითადი ნაწილის მიმღები, არის ინვესტორი, თუმცა „არაპირდაპირი“ ეფექტი, რომელიც საკმაოდ მნიშვნელოვანია, რჩება მიმღებ ქვეყანას, მაგ: ათვისებული უმოქმედო საბადოები, სამუშაო ძალის მიერ თანამედროვე ტექნოლოგიების ფლობა, გადასახადებით მიღებული შემოსავლები, სამომხმარებლო ბაზრების მრავალფეროვნება, მაღალი ანაზღაურება და უკეთესი სოციალური პირობები მომუშავეთათვის.

თავი II .უცხოური ინვესტიციები და საქართველოს ბიზნეს-გარემო

2.1 უცხოური ინვესტიციების მოცულობა და დინამიკა ქართულ ბიზნესში

არსებული გლობალიზაციის პირობებში განვითარებადი ქვეყნებისთვის, მათ შორის საქართველოსთვის, უცხოური ინვესტიციების მოზიდვა სასიცოცხლოდ აუცილებელია, ვინაიდან სწორედ ამ ქვეყნებში მინიმალური შიდა დანაზოგებია, ბიზნესის განვითარებისთვის აუცილებელია ინვესტიციების მოზიდვა. უცხოური ინვესტიციები მიმზიდველია ბიზნესისთვის იმ თვალსაზრისითაც რომ,

ინვესტირებულ ფულად რესურსებს უფრო მნიშვნელოვანი მატერიალური და არამატერიალური აქტივები მოყვება, როგორიცაა ცოდნა და თანამედროვე ტექნოლოგიები. საერთაშორისო ორგანიზაციებზე მეტად ტექნოლოგიურ სიახლეებს ტრანსნაციონალური კორპორაციები ნერგავენ ამა თუ იმ ქვეყნებში, რომლებიც ყველაზე დიდი იმპორტიორები არიან პირდაპირი უცხოური ინვესტიციების. ტრანსნაციონალურ კორპორაციებს შეუძლიათ ახალი ტექნოლოგიებით, ინოვაციებით, ასევე მაღალკვალიფიციური კადრებით და საერთაშორისო ბაზრებზე გამყარებული პოზიციებით ხელი შეუწყონ მწარმოებლურობის და ქვეყნის ეკონომიკურ ზრდას.

ქვეყნის ეკონომიკის აღმავლობისთვის აუცილებელია ინვესტიციების მოზიდვა, ამისთვის კი, საჭიროა საინვესტიციო გარემოს შექმნა. იმ პირობებში, როცა მსოფლიოს პოლიტიკურ-ეკონომიკური მდგომარეობა არასტაბილურია, საქართველოშიც რთულია ბიზნეს გარემოს ფორმირება.

ბიზნეს გარემო არის სოციალური, ტექნოლოგიური, ეკონომიკური და პოლიტიკური გარემოს ერთობლიობა, რომელიც უზრუნველყოფს ქვეყანაში ბიზნესის განვითარების შესაძლებლობებს. გამოყოფენ ბიზნეს გარემოს 2 სახეს: შიდა და გარე გარემოს. შიდა გარემოს მიეკუთვნება ის ელემენტები რომლებიც ორგანულად მოცემულ ფირმას ეკუთვნის და ხდება მათი შიდა კონტროლის განხორციელება. ბიზნესის გარე გარემოს მიეკუთვნება ის ელემენტები, რომლებიც არ ეკუთვნის ორგანულად მოცემულ ფირმას და არ ექვემდებარებიან შიდა კონტროლს , თუმცა მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ ბიზნესის ფუნქციონირებაზე, ამიტომაც მათი გათვალისწინება აუცილებელია. ბიზნესის განვითარება დამოკიდებულია იმ გარემოზე სადაც ვითარდება ბიზნესი. ბიზნეს-გარემოს ფორმირებაზე გავლენას ახდენს სამართლებრივი ნორმები, რომლებიც აწესრიგებს ბიზნეს საქმიანიბას. მჭიდრო კავშირია პოლიტიკას და ბიზნეს-გარემოს შორის. ბიზნესი გარკვეულწილად მოქმედებს ეკონომიკურ პოლიტიკაზე, თავის მხრივ პოლიტიკა ადგენს ბიზნესის ქცევის წესებს.

„ბიზნეს-გარემოს გამართული ფუნქციონიერბისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს:

- ქვეყანაში სრულყოფილი კონკურენციის არსებობას,

➢მოტივაციის სისტემის სრულყოფას,

➢სამეურნეო საქმიანობის თავისუფლებას,

➢სამეწარმეო პოტენციალის გამოვლენას,

➢სამართლებრივ გარანტიებს,

➢პოლიტიკურ-ეკონომიკური და სოციალურ სტაბილურობას.

საქართველოს ბიზნეს-გარემოს უარყოფით ზეგავლენას ახდენს შემდეგი ფაქტორები:

- ომის განახლების საშიშროება,
- პოლიტიკურ-ეკონომიკური არასტაბილურობა,
- სოციალური კრიზისი,
- საგადასახადო კოდექსის ხშირი ცვლილება,
- საგარეო ვალი
- ხელისუფლების მიერ არაადეკვატური ჩარევა და ა.შ.“ (http://education.ge/index.php?do=definition/view&id=1022)

საგადასახადო შეღავათების მეშვეობით ბიზნესისათვის ფინანსურ რესურსებთან გამარტივებული წვდომის უზრუნველყოფა, ასევე მცირე ბიზნესის განვითარების ხელშეწყობა, საქართველოს მთავრობის მთავარ ამოცანას წარმოადგენს.

საყურადღებოა, საქართველოს ადგილი მსოფლიო ბანკის მიერ გამოქვეყნებულ რეიტინგში, სადაც ქვეყნები შეფასებული არიან იმის მიხედვით თუ, რამდენად მარტივია ბიზნესის დაწყება და ქონების რეგისტრაცია, როგორია გადასახადების დონე, რამდენად ხელმისწვდომია სესხები და სხვა. საქართველოს ბიზნესის წარმოების სიმარტივის რეიტინში Doing Business-2019 მე-6 ადგილი უჭირავს.

ცხრილი №5

ბიზნეს კეთების სიმარტივის რეიტინგი

ადგილი	ქვეყანა	ქულა
4	ჰონკონგი	84.22
5	სამხრეთი კორეა	84.14
6	საქართველო	83.28
7	ნორვეგია	82.95
8	აშშ	82.75

წყარო: მსოფლიო ბანკი -https://forbes.ge/news/7643/saqarTvelo-2019-wlis-reitingebSi

აღნიშნულ რეიტინგს საქართველოს უსწრებს ახალი ზელანდია, სინგაპური, დანია, ჰონკონგი და სამხრეთ კორეა. აღსანიშნავია ისიც, რომ საქართველოს 2017 წელს მეცხრე ადგილი ეკავა და 82.80 ქულით ფასდებოდა, 2018 წელს კი გააუმჯობესა მონაცემები და 3 საფეხურით წინ გადმოინაცვლა.

დიაგრამა №2



წყარო: https://forbes.ge/news/5316/me-6-adgili-biznesis-keTebis-reitingSi

მსოფლიო ბანკი 2003 წლიდან აქვეყნებს ბიზნესის კეთების რეიტინგს და მასში 190 ქვეყანა მონაწილეობს. აღნიშნული რეიტინგში საქართველომ 2005 წლიდან დაიწყო წინსვლა და მე-100 ადგილს მალე დაშორდა. 2012 წელს უკვე მე-9 ადგილზე იყო. ხელისუფლება განსაკუთრებულ აქცენტს აკეთებდა აღნიშნულ რეიტინგის გაუმჯობესებაზე, რამაც შედეგი გამოიღო. უმნიშვნელო გაუარესება შეიმჩნეოდა 2010-2011 და 2014-2015 წლებში.

2016 წლიდან ხელისუფლებამ მიზნად დაისახა რეიტინგის გაუმჯობესება , რადგანაც ამით პიარს გაუკეთებდა ბიზნესგარემოს და ინვესტორებისთვის უფრო ცნობადს გახდიდა ქვეყანას. ბიზნესის კეთების ინდექსი 10 პუნქტისაგან შედგება, რომელთა ჯამი განაპირობებს საბოლოო ქულას. საქართველო მე-2 ადგილს იკავებს მცირე წილის მფობელ ინვესტორთა დაცვით. 2019 წელს წინა წელთან შედარებით წინსვლა შეიმჩნევა:

- სესხებზე ხელმისაწვდომიბით,
- მცირე წილის მფლობელ ინვესტორთა დაცვის,
- საგარეო ვაჭრობის კომპონენტებში.

საქართველოს მე-6 ადგილზე ყოფნა სრულად არ აისახება გაზრდილ ინვესტიციებში და ეკონომიკურ ზრდაში, რადგან ეს ინდექსი არ არის ისეთი ყოვლისმომცველი, როგორიც გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსია, სადაც საქართველო 74-ე ადგილზეა. იმ შემთხვევაში, როცა განვიხილავთ ინვესტიციების მოზიდვას და ეკონომიკურ ზრდას, ქვეყნის ცხოვრების სხვადასხვა კომპონენტი გავლენის სხვადასახვა დონით მოქმედი, ბიზნესგარემოა. ბიზნეს გარემო უფრო კომპლექსურია, ვიდრე ბიზნესის კეთების ინდექსი.

საბოლოდ, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ბიზნესის კეთების ინდექსი ქვეყნის სწრაფ ეკონომიკურ ზრდას უწყობს ხელს, თუმცა არასაკმარისია. საქართველოს ეკონომიკურ განვითარებას სხვა მნიშვნელოვანი პრობლემები აქვს, რომლებიც ამ ინდექსში არაა გამოსახული. მაგ:

- განათლების დაბალი დონის არსებობა;
- რუსეთის აგრესია;
- კანონის უზენაესობის სისუსტე;
- დემოკრატიის დაბალი დონე.

2020 წლის პირველ კვარტალში საქართველოში სხვადასხვა კომპანიები ახორციელებდნენ ინვესტირებას, მათ შორის საქსტატის მონაცემებზე დაყრდნობით შეგვიძლია დავასახელოთ განხორციელებული უცხოური ინვესტიციების მოცულობით TOP-10 ინვესტორი კომპანიები :

- „ შპს მაგთიკომი;
- შპს კორპორაცია ფოთის საზღვაო ნავსადგური;

- შპს თბილისი ენერჯი;
- სს RMG Copper;
- შპს ტოიოტა კავკასია;
- შპს აჭარ ენერჯი-2007;
- შპს სილქ როუდ გრუპ ჰოლდინგ;
- შპს საქართველოს ტურიზმის განვითარების ფონდი;
- სს ბიჯეო ჯგუფი;
- შპს რეკან გრუპ ჯორჯია."

წყარო: (Business Media Georgia https://bm.ge/ka/article/top-10-investori-romelmac-2020-wlis-i-kvartalshi-saqartveloshi-fuli-chado/58162/)

უცხოური ინვესტიციები მოცულობა ეკონომიკის სექტორებს შორის განსხვავებულად ნაწილდება, ამას განაპირობებს ინვესტორთა ინტერესის სფერო და ქვეყნაში ამა თუ იმ სფეროს განვიტარების მაჩვენებელი. 2020 წლის მონაცემებით ყველაზე მეტი პირდაპირი უცხოური ინვესტიცია საფინანსო სექტორში განხორციელდა 94.9 მლნ. აშშ დოლარის ოდენობით, იგი მთლიანი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების 57.4 %-ია. შემდეგია უძრავი ქონების სექტორი 34.0 მლნ. აშშ დოლარი - 20.6% მთლიანი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების, სასტუმროების და რესტორნების სექტორი - 15.8 მლნ. აშშ დოლარი- 9.5% მთლიანი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების.

ინვესტიციების მოზიდვა სხვდასხვა ქვეყნებიდან ხდება, ინვესტორი ინვესტირების განხორციელებამდე ცდილობს შეისწავლოს იმ ქვეყნის ბაზარი სადაც სურს განახორციელოს კაპიტალის დაბანდება. საქართველოსთვის კი, მნიშვნელოვანია უზრუნველყოს უსაფრთხო და მიმზიდველი საინვესტიციო გარემო. განსხვავებულია საზღვარგარეთის ქვეყნების დაინტერესებაც საქართველოს მიმართ, ისინი განსაზღვრული მოცულობის კაპიტალის ინვესტირებას ახორციელებენ ჩვენს ქვეყანაში. 2020 წლის მონაცემებით ყველაზე მეტი ინვესტიციები საქართველოში გაერთიანებული სამეფოდან შემოვიდა მეორე ადგილი ინვესტიციების მოცულობით აშშ-ს და მესამე კი - პანამას უკავია.

ცხრილი№6

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ეკონომიკის სექტორების მიხედვით (მლნ აშშ დოლარი)

	2018				სულ	2019*				სულ	2020*
	I	II	III	IV		I	II	III	IV		I
სულ	**323.5**	**403.6**	**367.0**	**171.0**	**1 265.2**	**283.6**	**209.8**	**427.4**	**347.0**	**1 267.7**	**165.4**
მათ შორის:											
საფინანსო სექტორი	110.2	62.8	16.8	80.9	**270.7**	48.3	-26.5	101.7	138.1	**261.8**	94.9
უძრავი ქონება	-6.2	63.0	48.7	26.0	**131.4**	-126.6	22.9	29.8	41.6	**-32.4**	34.0
სასტუმროები და რესტორნები	25.3	-8.2	45.0	15.7	**77.8**	66.4	29.0	45.6	16.4	**157.5**	15.8
კავშირგაბმულობა	-63.3	10.6	6.9	5.5	**-40.3**	11.1	-3.1	9.8	27.7	**45.4**	12.8
სამთომოპოვებითი მრეწველობა	21.2	16.6	13.2	11.3	**62.2**	8.5	15.3	17.5	27.3	**68.7**	10.4
მშენებლობა	102.5	46.2	26.3	-2.0	**173.0**	7.7	16.8	44.4	49.6	**118.5**	7.7
ტრანსპორტი	63.8	64.0	64.5	11.0	**203.3**	28.3	26.6	11.2	5.4	**71.5**	6.4
დამამუშავებელი მრეწველობა	41.0	19.5	57.3	22.2	**140.0**	19.0	36.3	50.4	-3.5	**102.2**	4.5
ჯანდაცვა და სოციალური დახმარება	8.3	1.5	0.9	1.7	**12.4**	0.8	-0.8	11.2	2.6	**13.8**	3.5
სოფლის მეურნეობა, თევზჭერა	-5.0	0.8	-0.9	1.7	**-3.3**	3.1	3.0	5.4	2.1	**13.7**	-1.0
ენერგეტიკა	-16.9	102.0	39.8	-4.1	**120.8**	48.8	63.9	39.7	41.4	**193.9**	-26.5
დანარჩენი სექტორები	42.6	25.0	48.5	1.1	**117.2**	168.1	26.2	60.6	-1.7	**253.1**	2.9

*წინასწარი მონაცემები.

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

საყურადღებოა ის ქვეყნები რომლებიდანაც შემცირდა ინვესტიციები: აშშ- დან მიმდინარე წელს შემოვიდა 28 მლნ დოლარი, წინა წლის მონაცემებთან შედარებით 34%-ით ნაკლები, პანამა- 19 მლნ დოლარი 57%-იანი კლება წინა წელთან შედარებით, ნიდერლანდები - 11 მლნ დოლარი 112%-იანი კლება, თურქეთი - 11 მლნ დოლარი 84%-იანი კლება, იაპონია 7 მლნ დოლარი 56%-იანი კლება, ერაყი 7 მლნ დოლარი წინა წელთან შედარებით 524% -ით ნაკლები ინვესტიცია.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები არათანაბრად ნაწილდება საქართველოს რეგიონებს შორის. ყველაზე მეტი რაოდენობა პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოდის თბილისზე, შემდეგია აჭარა რაც გასაკვირი შეიძლება არც იყოს რადგან ქვეყნის ეს ორი ძირითადი რეგიონი სხვა რეგიონებთან შედარებით გამოირჩევა ინფრასტრუქტურით და მოსახლეობის რიცხოვნებით.

დიაგრამა №3



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

საქართველოს მთავრობა მაღალმთიანი რეგიონების განვითარებისთვის ცდილობს ინვესტიციების მოზიდვას, სწორედ ამ მიზნით, საბაზრო მოთხოვნების შესაბამისი ბიზნეს-გარემოს შექმნისთვის, ევროკავშირმა, ავსტრიამ და შვედეთმა რაჭა-ლეჩხუმის, სვანეთის და ზემო იმერეთის რეგიონებში სამთო ტურიზმის განვითარების დაფინანსებისთვის გამოყეს 860 ათასი ევრო. აღნიშნული ინვესტიცია მოიცავს ადგილობრივი განვითარების ინიციატივის პროექტების დაფინასებას, თითოეული პროექტის ფინანსური მხარდაჭერა 500-დან 5000- მდე ევროს ტოლია.

სამთო ტურიზმის განვითარებისთვის და ორგანული სოფლის მეურნეობის მხარდაჭერის ოთხწლიანი პროექტის - GRETA-ს ფარგლებში გამოყოფილია 6,8 მილიონი ევრო.

პირველად საქართველოში, დაცულ ტერიტორიებზე განხორციელდება საერთაშორისო ინვესტიცია. ალგეთის ეროვნულ პარკში „დაშბაშის კანიონზე“ მოეწყობა ტურისტული ინფრასტრუქტურა. ინვესტირებას ებრაული კომპანია KASS LAND ახორციელებს და საინვესტიციო ღირებულება 50 მილიონ ლარს აღემატება.

ცხრილი № 7

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები რეგიონების მიხედვით.

რეგიონი	2011	2012	2013	2014	2015	2016*
სულ	1,117,244.1	911,564.3	941,902.6	1,758,422.9	1,564,499.8	1,645,368.6
მათ შორის:						
ქ. თბილისი	805,228.2	693,433.8	688,367.7	1,326,936.6	1,234,657.0	1,275,857.0
აჭარა	93,868.0	39,105.4	61,544.3	159,275.1	204,531.0	160,976.9
კახეთი	352.4	15,088.0	9,892.7	10,530.4	16,118.6	962.2
სამცხე-ჯავახეთი	4,547.0	21,251.3	51,732.6	74,040.7	28,099.3	50,180.6
ქვემო ქართლი	146,882.6	41,648.3	14,430.2	55,083.4	21,159.8	77,478.5
სამეგრელო-ზემო სვანეთი და გურია	66,326.5	55,278.2	57,229.8	93,648.2	49,822.3	52,614.5
იმერეთი, რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	-14,714.5	37,773.2	58,882.0	26,363.7	25,701.8	26,584.1
შიდა ქართლი და მცხეთა-მთიანეთი	14,754.0	7,986.0	-176.5	12,544.8	-15,590.1	714.7

წყარო: სტატისტიკის ეროვნული სამსახური

აჭარაში მნიშვნელოვანი საინვესტიციო პროექტი ხორციელდება კურორტ გოდერძზე, რომელთა ღირებულება 150 მილიონ ლარს აჭარბებს, მოიცავს 19 საინვესტიციო პროექტს და ახდენს 1000-ზე მეტი სამუშაო ადგილის შექმნას.

გალიფ ოზთურქი აჭარაში უმსხვილესი თურქი ინვესტორია, 2012 წლიდან საქართველოში METRO HOLDING-ი საინვესტიციო კომპანია „მეტრო ატლას ჯორჯიას“ სახით ფუნქციონირებს. ოზთურქი ინვესტირებას ტურიზმის, სოფლის მეურნეობის, ტრანსპორტის და საფინანსო სექტორში ახორციელებს. მათ შორისაა გოდერძის სასტუმრო, ასევე იგეგმება თბილისში სასტუმროს მშენებლობა , რომელიც იქნება საქართველოში ყველაზე დიდი სასტუმრო და ბათუმში სასტუმროების კომპლექსის მსენებლობა , რომელიც ახლო მომავალში დაიწყება.

ხობის მუნიციპალიტეტში ჩინური ინვესტიციით პლასტმასის გადამამუშავებელი ქარხანა სამხრეთ-აღმოსავლეთი აზიიდან საქართველოში გადმოვა. კომპანია „გლობალ რისაიქლინგი“ 50 მლნ ლარის ინვესტირებას ახდენს და მომავალში დამატებითი ინვესტიციების განხორციელებასაც გეგმავს.

საქართველოსთვის ანაკლიის ნავსადგურის მშენებლობა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პროექტია, რომელიც შექმნის ხელსაყრელ პირობებს ლოგისტიკური ცენტრებისა და ინდუსტრიული ზონის განვითარებისთვის. პროექტი ანვითარებს

დამატებითი ღირებულების მომსახურებას, რაც გაზრდის ტვირთრუნვას და სამუშაო ადგილებს საქართველოში.

მსოფლიოში ღვინის ექსპორტიორ ქვეყნებს შორის საქართველო მე -16 ადგილს იკავებს, რომელიც გამოქვეყნებულია ღვინის ამერიკული ასოციაციის (AAWE) სტატისტიკურ მონაცემებში. 2018 წელს საქართველოდან საზღვარგარეთ 222 მლნ დოლარის ღირებულების ღვინის გატანა მოხდა. საქართველო მთლიან ექსპორტში ღვინის ექსპორტის წილით, რომელიც 5.9 % შეადგენს, უსწრებს ისეთ ქვეყნებს როგორიცაა საფრანგეთი, იტალია, ესპანეთი.

2020 წლის 3 ივლისს საქართველოს და ყაზახეთის მსხვილ კომპანიებს შორის გამართულ შეხვედრაზე გაფორმდა მემორანდუმი ინვესტიციების, ვაჭრობის და კულტურულ-სოციალური ცხოვრების სფეროში ქვეყნების თანამშრომლობის შესახებ. მემორანდუმს ხელი მოაწერეს შემდგომმა კომპანიებმა:

- სს „Halyk Bank Georgia”
- შპს “Batumi Oil Terminal”
- შპს “ Rompetrol Georgia”
- შპს “AIR ASTANA representative in Georgia”
- შპს “Wagon GK”
- შპს “ AlimWay”
- შპს “Barmaglot Tbilisi”
- შპს “ Georgia Partners”

ყაზახეთისთვის მნიშვნელოვანია აქტიურად ყოფნა ქართულ ბაზარზე. საქართველოს კანონმდებლობა იძლევა მომგებიანი ინვესტიციების განხორციელების შესაძლებლობას. მნიშვნელოვანი ადგილი უკავია სოფლის მეურნეობას. მხარეები დაინტერესებული არიან საქართველოს ბაზარზე ყაზახური მარცვლეულის მოწოდებით და ყაზახეთი განიხილავს ასევე საქართველოდან სასოფლო- სამეურნეო კულტურების მიწოდებას. ქართული საწარმოები უკვე იწყებენ ყაზახეთში შეასვლას. ურთიერთ ინტერესია ენერგეტიკული პროექტების ინვესტიცია,მონაწილება საბანკო სექტორში, ტურიზმის და სამედიცინო პრევენციულ სფეროებში თანამშრომლობა.

საქართველომ, მოლდოვამ და უკრაინამ 2014 წლის 27 ივნისს ევროკავშირთან ასოცირების შესახებ შეთანხმებას ხელი მოაწერეს, რომელიც ძალაში შევიდა 2016 -

2017 წლებში. საქართველოს პარტნიორ ქვეყნებთან პოლიტიკური ასოცირებისა და ეკონომიკური ინტეგრაციის მიზანს წარმოადგენდა ეკონომიკურ განვითარების, გრძელვადიანი სტაბილურობის, გამჭვირვალობისა და ბიზნესის პროგნოზირებადობის მიღწევას. ასოცირების შესახებ შეთანხმებების საფუძველზე შეიქმნა ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცე (DCFTA), რაც გამოიწვევს სატარიფო, არასატარიფო და მარეგულირებელი ბარიერების თანდათანობით შემცირების გზით, ეკონომიკური თანამშრომლობისა და ვაჭრობის ახალ შესაძლებლობების ზრდას, მათ შორის მცირე და საშუალო საწარმოებისათვის. DCFTA იძლევა უფრო დიდ შესაძლებლობებს რეგიონალურ და გლობალურ ბაზრებზე, იგი ნიშნავს:

- უბაჟო ვაჭრობას,
- ნაკლებ ბიუროკრატიას,
- გამჭვირვალე პირობებს ბიზნეს ოპერაციებისთვის,
- საინვესტიციო შესაძლებლობებს
- სამართლიან კონკურენციას.

DCFTA იძლევა ვაჭრობის ახალ შესაძლებლობებს, მცირე და საშუალო საწარმოებისთვის პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვის საშუალებას.

2017 წლის 21 ივნისს ბიზნესის მხარდამჭერი 100_ზე მეტი ორგანიზაციის წევრი, მათ შორის საქართველოდან და ევროკავშირის წევრი ქვეყნებიდან, შეხვდნენ ევროკავშირის მიერ დაფინანსებული East Invest პროექტის დასკვნით კონფერენციაზე. East Invest_მა შეიმუშავა ევროკავშირს და აღმოსავლეთ პარტნიორობის კერძო სექტორების წარმომადგენლებისთვის მემორანდუმი ბიზნეს-გარემოს გაუმჯობესების თაობაზე. იგი ხელს უწყობს სავაჭრო ნაკადების და ინვესტიციების გაფართოებას რეგიონში. როგორც პროექტის ორგანიზატორები აღნიშნავენ, ბიზნეს-გარემოს გაუმჯობესებას სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს კერძო სექტორის განვითარებისთვის და უცხოური ინვესტიციების მოცულობის ზრდისთვის.

კომპანია RPM W.L.L -სა და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს შორის გაფორმდა მემორანდუმი, რომელიც

ითვალისწინებს აღნიშნული კომპანიის მიერ სხვადასხვა საინვესტიციო პროექტების განხორციელებას გაზისა და ნავთობის გადამუშავების კუთხით.

ინვესტიციების ხელშეწყობისთვის საქართველოს მთავრობამ განახორციელა სატარიფო და ტექნიკური რეგულირების სფეროს რეფორმა. რის საფუძველზეც საქართველომ დღეისმდგომარეობით შექმნა მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე ლიბერალური საგარეო სავაჭრო პოლიტიკა, გამარტივებული საგარეო ვაჭრობის რეჟიმის და საბაჟო პროცედურების, დაბალი საიმპორტო ტარიფების სახით. 2006 წლიდან საიმპორტო ტარიფების გაუქმება მოხდა პროდუქციის 85%-ზე და 16 საიმპორტო ტარიფი შემცირდა 3 განაკვეთამდე. ექსპორტი და რეექსპორტი გათავისუფლდა საბაჟო გადასახადისგან.

2.2 **განხორციელებული უცხოური ინვესტიციების სტიმულირება-რეგულირების მიმართულებები**

ქვეყნის ეკონომიკური განვითარების დაჩქარების მიღწევაში ინვესტიციებს მოცულობას ეკისრება არსებითი როლი. ინვესტირების ზრდა, როგორც შიდა ასევე უცხოური პირდაპირი ინვესტიციების საშუალებით, საქართველოს ეკონომიკური პოლიტიკის ერთ-ერთი ძირითადი მიმართულებაა. ინვესტირების მოცულობის ზრდისთვის განმსაზღვრელ ფაქტორს ეფექტური საინვესტიციო გარემოს არსებობა წარმოადგენს, რომელშიც მნიშვნელოვანია ტრადიციული და ინსტიტუციური ფაქტორები. ინსტიტუციურ ფაქტორებს კი განაპირობებს საგადასახადო პოლიტიკა, რომელიც განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს იმ ქვეყნებისთვის რომლებიც განიცდიან ბუნებრივი რესურსების დეფიციტს და შედარებით მცირე ბაზრები აქვთ.

საინვესტიციო პროცესში მნიშვნელოვანი როლი აქვს სახელმწიფოს. იგი ახდენს როგორც ბიუჯეტის ხარჯზე ასევე სახელმწიფო საწარმოების მიერ ნასესხები და საკუთარი ხარჯებით კაპიტალური დაბანდებების პოლიტიკის რეალიზებას. ასევე სახელწიფო მოქნილი ეკონომიკური პოლიტიკის (საგადასახადო, საკრედიტო, საბაჟო და ა.შ) მეშვეობით ახდენს საინვესტიციო პროცესების რეგულირებას. სახელმწიფოს საინვესტიციო პოლიტიკა უზრუნველყოფდეს უნდა ქვეყნის სოციალურ-

ეკონომიკური და სამეცნიერო-ტექნიკურ განვითარებას. სახელმწიფოს მიერ განხორციელებული საინვესტიციო საქმიანობის ფორმები სხვადასხვაგვარია და ინვესტირების მიზნებზეა დამოკიდებული. სახელწიფოს, როგორც საინვესტიციო პროგრამების მეშვეობით, ასევე ინვესტირების პირდაპირი მართვით შეუძლია მოახდინოს მარეგულირებელი ზემოქმედება ინვესტიციებზე.

ინვესტიციების განხორციელების მოტივაციას აძლიერებს სხავდასხვა მაკროეკონიმიკური ფაქტორები, კერძოდ:

- „დანაზოგების ფორმირების პროცესების ინტესივობა ქვეყნის ეკონომიკაში;
- პროცენტის განაკვეთი და მისი დინამიკა;
- ტექნოლოგიური პროცესი;
- ეკონომიკური დინამიკის ციკლურობა;
- ინვესტიციის ბაზრის მთლიანობის დონე;
- ქვეყნის ინვესტიციური გარემო.“ **(ქოქიქური, 2007: 381)**

განვითარებულ ქვეყნებში სახელმწიფო წყვეტს ისეთ უმნიშვნელოვანეს საკითხებს, როგორიცაა ინფლაციის დონის რეგულირება და შრომისუნარიან მოსახლეობის ოპტიმალური დასაქმების უზრუნველყოფა, ამისათვის კი სახელმწიფო იყენებს საგადასახადო და საკრედიტო ფულად პოლიტიკას, რომელიც მოიცავს:

- ოპერაციებს სახელწიფო ფასიანი ქაღალდების ბაზარზე;
- რეფინანსირების განაკვეთის და სავალდებულო საბანკო რეზერვების სიდიდის ცვლილებას.

„ამ ინსტრუმენტების საშუალებით სახელმწიფოს შეუძლია ზემოქმედება მოახდინოს დანაზოგებსა და ინვესტიციების დონეზე. კერძოდ, სახელწიფო ხარჯების პოლიტიკა და გადასახადები ცვლიან შემოსავლის იმ დონეს, რომლის დროსაც შემოსავლებისა და ხარჯების წონასწორობა მიიღწევა. გადასახადების ამაღლება მოსახლეობის წმინდა შემოსავლის შემცირებას იწვევს. შემოსავლის შემცირება თავის მხირვ იწვევს სამომხმარებლო ხარჯების, დანაზოგების და მოსახლეობის მიერ განხორციელებული ინვესტიციების შემცირებას.“ (**ქოქიაური, 2007:330**)

საქართველოში ეკონომიკის ლიბერალიზაციის რეფორმები 2004 წლიდან დაიწყო, რომელმაც ხელი შეუწყო ბიუროკრატიული ბარიერების აღმოფხვრას, ასევე

ხელი შეუწყო საგადასახადო ტვირთის შემცირებას. საქართველოს საგადასახადო პოლიტიკაში მნიშვნელოვანი საგადასახადო შეღავათები შემოიღეს, რაც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი იყო უცხოური ინვესტიციების მოცულობის გაზრდის. საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ დადებითად იქნა შეფასებული განხორციელებული ლიბერალური ეკონომიკური რეფორმები. ქვეყნაში განხორციელდა საგადასახადო სფეროს რეფორმა, რომელიც მიზნად ისახავდა ბიზნესისა და ინვესტირებისათვის მასტიმულირებელი გარემოს შექმნას. ლიბერალურმა რეფორმებმა გამოიწვია დაბეგვრის პროცედურების გამარტივება და გადასახადების რაოდენობის შემცირება. იმ დროისათვის არსებული 21 გადასახადი შემცირდა და მხოლოდ 6 სახის გადასახადი დარჩა.ლ გადასახადების შემცირებას ორმხრივი გავლენა აქვს მცირდება როგორც პირდაპირი ლლსაგადასახადო ხარჯი, ასევე საერთო საგადასახადო და ბუღალტრულ დეკლარირებალლსთან დაკავშირებული ხარჯი. უცხოური ინვესტიციების ზრდის მხარდასაჭერად გაჩნდა საერთაშორისო საწარმოს და უცხოური კომპანიის ფილიალის ცნებები. საინლლლლვესტიციო მიზნების განხორციელებისთვის შეიქმნა თავისუფალი ეკონომიკური ზონები, სადაც დაბეგვრა ნულ პროცენტიანი განაკვეთით ხდება.

მსოფლიო ბანკის მიერ საქართველო აღიარებული იქნა ერთ-ერთ მოწინავე ქვეყნად. მიუხედავად ამისა, ქვეყნის ეკონომიკის ცალკეულ სფეროში სერიოზული პრობლემებია, რაც გრძელვადიანი ეკონომიკური ზრდის ხელისშემშლელი ფაქტორია. არსებული სიტუაცია, უარყოფითად მოქმედებს სამეწარმეო გარემოზე და ინვესტორთა ნდობის ფაქტორზე.

ქვეყანაში არსებული ხელსაყრელი სამეწარმეო და საინვესტიციო გარემოს შეუძლია დადებითად იმოქმედოს მწარმოებლურობაზე, ვინაიდან იგი ზეგავლენას ახდენს კერძო სექტორში რესურსების განაწილებაზე. გაზრდილი გლობალური კონკურენცია, დინამიკური ეკონომიკური პროცესები ცვლის ბიზნესის მოთხოვნებს, ამიტომაც აუცილებელია საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესებაზე სისტემატილური ზრუნვა.

„მიმზიდველი სამეწარმეო და საინვესტიციო გარემოს უზრუნველსაყოფად აუცილებელია რიგი საკანონმდებლო და ინსტიტიციური ცვლილებების განხორციელება, მათ შორის, სასამართლო სისტემის გაძლიერების ხელშეწყობა.

ძლიერი და დამოუკიდებელი სასამართლო სამეწარმეო და საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესების, ასევე საკუთრების უფლებების დაცვის უმნიშვნელოვანეს პირობას წარმოადგენს. საქართველოს მთავრობა დაიცავს ბიზნესს არალეგიტიმური ჩარევისაგან. აღნიშნულ სფეროში საქართველოს მთავრობის მიზანს დღეისთვის მიღწეული შედეგების შენარჩუნებით არსებული ნაკლოვანებების აღმოფხვრა წარმოადგენს." (<u>საქართველოს</u> .....2014:31)

რეგულირების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საშუალებაა საგადასახადო სისიტემა. საგადასახადო განაკვეთები და საგადასახადო სისტემაში შეღავათების დიფერენცირება სახელმწიფოს მიერ გავლენის მოხდენის ბერკეტია. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ლიბერალური პოლიტიკის განსახორციელებლად გამოიყენება „ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების შესახებ" მიღებული შეთანხმებები. აღნიშნული შეთანხმებები გაფორმებულია ქვეყნის სავაჭრო პარტნიორ ქვეყნებთან.

საგადასახადო პოლიტიკას შეუძლია გავლენა იქონიოს უცხოურ ინვესტიციებზე მაშინ, როცა ყველა დანარჩენი ფაქტორი თანაბარია. იმ შემთხვევაში თუ რესურსები და ბაზრის მოცულობა ინვესტირების ქვეყნებში ერთნაირია, ინვესტორი გადაწყვეტილებას საგადასახადო პოლიტიკის ფაქტორების გათვალისწინებით ღებულობს. სხვადასხვა ქვეყნეში, ინვესტიციების განხორციელებისას, ინვესტორები საგადასახადო პოლიტიკის გარდა ითვალისწინებენ ბაზრის მოცულობას, ბუნებრივი რესურსების მოცულობას, ადამიანური კაპიტალის ხელმისწვდომობას და სხვა ფაქტორებს. მნიშვნელოვანია განვსაზღვროთ, რა როლი აქვს საგადასახადო პოლიტიკას უცხოური ინვესტორებისთვის ინვეტირების გადაწყვეტილებების მიღებისას.

საგადასახადო შეღავათები იწვევს მნიშვნელოვან დანაკარგებს ბიუჯეტში და აუცილებელია დასაბუთებული იყოს შეღავათების აუცილებლობა და მისი დადებითი გავლენა უცხოური ინვესტიციების მოზიდვისთვის. ქვეყანაში არსებული საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებული შეღავათები მასტიმულირებელია დაზოგვისა და ინვესტირებისთვის და ზრდის უცხოური ინვესტიციების მოცულობას. 2005 წლიდან საქართველოში მოხდა, როგორც საგადასახადო

პოლიტიკის ლიბერალიზაცია, ასევე საგადასახადო ადმინისტრირების გაუმჯობესება, რამაც გამოიწვია ინვესტიციების მოცულობის ზრდა.

საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებში სახელმწიფოს როლი იზრდება სოციალური უზრუნველყოფის მხრივ XX საუკუნის 1960-იანი წლებიდან, რომელიც იწვევდა დამატებით სოციალურ დანახარჯებს. ბიუჯეტის ზრდისთვის მთავრობამ დააწესა მაღალი საგადასახადო ტვირთი. რამაც გამოიწვია თავიანთი კორპორაციების წარმოების იმ ქვეყნებში გადატანა სადაც მინიმალური ინფრასტრუქტურა და დაბალი გადასახადები იყო. მეორე მხრივ 1990-იანი წლებში პოსტსაბჭოთა ქვეყნები ახდენდნენ მათი ეკონომიკის საბაზრო რელსებზე გადატანას, რისთვისაც საჭირო იყო საინვესტიციო რესურსები. აღნიშნულმა პირობებმა გამოიწვია კონკურენცია უცხოური ინვესტიციების მოსაპოვებლად. უპირატესობა მოდიოდა იმ ქვეყნებზე სადაც შედარებით დიდი გასაღების ბაზრები და ბუნებრივი რესურსები იყო. იმ ქვეყნემა რომლებიც ამ უპირატესობით ვერ სარგებლობდნენ ინვესტორებს საგადასახადო შეღავათები შეთავაზეს, რამაც წარმოშვა საკითხი საგადასახადო შეღავათების მნიშვნელობაზე უცხოური ინვესტიციების მოზიდვისას.

სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების გაღრმავებამ გაზარდა საერთაშორისო ტრანზაქციების დაბეგვრის საკითხების მნიშვნელობა. საწარმოთა საქმიანობის გეოგრაფიული არეალის გაფართოება, საწარმოებს აქცევს განსხვავებულ დაბეგვრის პირობებში. მრავალეროვნულ საწარმოთა ფინანსურ შედეგებზე მნიშვნელოვნად მოქმედებს დაბეგვრის სხვადასხვა რეჟიმი. დაბეგვრის რეჟიმი ასევე მოქმედებს ინვესტიციების განთავსების საკითხზეც სხვადასხვა ქვეყნებში. სწორედ ეს ფაქტორები განაპირობებს ქვეყნების საგადასახადო კანონმდებლობის ურთიერთ დაკავშირებას.

ქვეყნის საგადასახადო სისტემის ჩამოყალიბებაზე გავლენას ახდენს პოლიტიკური, ეკონომიკური, კულტურული და ფსიქოლოგიური ფაქტორები. მთავრობის ეკონომიკური პოლიტიკიდან გამომდინარე, ქვეყნის შიდა და საერთაშორისო ტრანზაქციებზე მთავრობა გადასახადების განსაზღვრავს არჩეულ რაციონალურ პრინციპს საფუძველზე, გადასახადების დაკისრების გამართლებისთვის.

80-იანი წლების შემდგომ პერიოდში არესულმა გლობალიზაციის მაშტაბების ზრდამ განსაკუთრებული აქტუალობა მიანიჭა დაბეგვრის საკითხებს საერთაშორისო ინვესტირების პროცესში. გადასახადებს განსაკუთრებული ყურადღება ენიჭება მაშინ, როცა სუბიექტი მდგებარეობს ერთ ქვეყანაში, შემოსავლის წყარო კი, მეორე ქვეყანაში. არსებულ სიტუაციაში საჭიროა ჩამოყალიბებული საგადასახადო პოლიტიკა იმ შემოსავლების დაბეგვრასთან დაკავშირებით, რომელიც მიღებულია მათ ქვეყანაში არსებულ წყაროდან. აღნიშნული სიტუაცია იწვევს თანამშრომლობას ქვეყნებს შორის დაბეგვრის სფეროში, რომლის მიზანია:

- თავის აცილება ორმაგი დაბეგვრისაგან;
- სახელმწიფო კონტროლი გადასახადების თავის არიდებაზე;
- უცხოური ინვესტიციების მოზიდვა არარეზიდენტების შემოსავლების არადისკრიმინაციული დაბეგვრის გზით.

საერთაშორისო საგადასახადო ურთიერთობების პრინციპებიდან გამომდინარე, ქვეყანას შეუძლია დააწესოს გადასახადი საკუთარი ქვეყნის ტერიტორიაზე და არ შეუძლია თავისი საგადასახადო მოთხოვნები გაავრცელოს სხვა ქვეყნის ტერიტორიაზე. საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობებში ძირითადი როლი აქვს საგადასახადო საკითხებს, რაზეც მეტყველებს საერთაშორისო საგადასახადო შეთანხმებების რაოდენობის ზრდა. 1960 წლიდან დაიწყო ორმაგი დაბეგვრის ხელშეკრულებების რაოდენობის ზრდა. თავიდან ორმაგი დაბეგვრის ხელშეკრულების რატიფიცირება ხდებოდა ძირითადად განვითარებულ ქვეყნებში, თუმცა შემდგომ პერიოდში, ის ახალი ბაზრების ეკონომიკების მქონე ქვეყნები, რომლებიც უცხოური ინვესტიციების რეციპიენტი ქვეყნების რიგებიდან ინვესტიციათა დონორი ქვეყნების რიგში გადავიდნენ, გახდნენ ორმაგი დაბეგვრის ხელშეკრულების რატიფიცირების მონაწილეები.

ქვეყანამ უნდა შემოიღოს ისეთი საგადასახადო განაკვეთი, რომელიც არ გამოიწვევს უცხოურ ინვესტიციათა ჩახშობას. განსაკუთრებით იმ პატარა ქვეყნებმა, რომლებიც ღიაა უცხოური ინვესტიციებისთვის. მაღალი გადასახადები უარყოფით გავლენას ახდენს მაკროეკონომიკურ მოვლენებზე:

- გაზრდილი საპროცენტო განაკვეთით,
- დაბალი ინვესტირების რაოდენობით,

- ხელფასების და დასაქმების სიმცირით.

სწორედ ამიტომ, ქვეყნის სოციალური და ეკონომიკური ვითარების გაუმჯობესების მიზნით უნდა მოხდეს უცხოური ინვესტორების მინიმალური განაკვეთებით დაბეგვრა.

2.3. საქართველოს ბიზნეს-გარემოს გაჯანსაღების ღონისძიებები თანამედროვე ეტაპზე

გლობალური კონკურენციის და დინამიკური ეკონომიკური პროცესები იწვევს ბიზნესის მოთხოვნების სწრაფ ცვლილებას. მწარმოებლურობაზე მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს ხელსაყრელი საინვესტიციო და სამეწრმეო გარემო, იგი პირდაპირ მოქმედებს კერძო სექტორში რესურსების ეფექტიან განაწილებაზე. 2004 წლიდან საქართველოში დაწყებული ეკონომიკის ლიბერალიზაციის რეფორმებმა, აღმოფხვრა ბიუროკრატიული რეფორმები, ასევე შეამცირდა საგადასახადო ტვირთი. თუმცა, სხვადასხვა სფეროში არსებული სერიოზული პრობლემები ხელს უშლის კერძო სექტორის კონკურენტუნარიანობის ამაღლებას და აფერხებს გრძელვადიან ეკონომიკურ ზრდას. ქართულ ბაზარზე დღეისათვის ისევ პრობლემურია თავისუფალი კონკურენციის უზრუნველყოფა, გადახდისუნარიანობა, კომერციული დავების გადაწყვეტა და ბიზნესის წარმოებასთან დაკავშირებული სხვა ფაქტორები.

საკუთრების დაცვის საერთაშორისო ორგანიზაციის „საკუთრების უფლების ალიანსი“-ს მიერ გამოქვეყნებული მონაცემებით საკუთრების დაცვის დონით, კანონის უზენაისობით, ფიზიკური და ინტელექტუალური საკუთრების დაცვის მაჩვენებლებით 2019 წელს საქართველო 70 ადგილზე იყო. 2018 წელთან შედარებით შეიმჩნევა გაუმჯობესება და 74-ე ადგილიდან 4 საფეხურით წინ ინაცვლებს.

ეკონომიკური გლობალიზაციის დონით რომელიც განსაზღვრულია საერთაშორისო ვაჭრობის, უცხოური კაპიტალის მოძრაობის და მიგრაციის მიხედვით საქართველო 2019 წელს 22- ე ადგილს იკავებს, წინა წლის მონაცემებთან შედარებით 4 საფეხურით უკან ჩამოინაცვლა. აღნიშნულ რეიტინგს შვეიცარული ორგანიზაცია „ტექნოლოგიების ფედერალური ინსტიტუტი“ აქვეყნებს.

საქართველო მსოფლიოში რეფორმატორი ქვეყნების გვერდითაა, ბოლო წლის განმავლობაში რეიტინგის მიზნებისთვის განხორციელებული 3 რეფორმით:

- ბიზნესის დაწყების რეფორმა,
- გადასახადების გადახდის რეფორმა,
- კონტრაქტების აღსრულების რეფორმა.

დიაგრამა№4

საქართველოს პოზიცია 2018-2019 წლებში



წყარო: საქართველოს ეკონომიკის და მდგრადი განვითარების სამინისტრო.

საქართველოში 2013-2019 წლებში განხორციელებული რეფორმების შედეგია ქვეყნის საერთაშორისო აღიარება და წარმატება. ამ პერიოდში განხორციელდა 21 რეფორმა ინსტიტუციური და მარეგულირებელი გარემოს გაუმჯობესების კუთხით.

❖ **ბიზნესის დაწყება.** ბიზნესის დაწყების გამარტივებისთვის, ბიზნესს მიეცა დღგ-ს გადახდის ნებაყოფლობითი რეგისტრაციის შესაძლებლობა. მეწარმეებისთვის კომპანიის საქმიანობის ერთი პროცედურის საშუალებით დაწყებისთვის, საქართველომ გააფართოვა „ერთი ფანჯრის პრინციპი“ ბიზნესისთვის.

❖ **მშენებლობის ნებართვა.** 2016 წლიდან მშენებლობის ნებართვის გაცემისთვის საჭირო დროის შემცირების მიზნით, ნებართვასთან დაკავშირებული პროცედურები გამარტივდა.

❖ **ელექტროენერგიის ქსელთან მიერთება.** 2017 წელს უფრო საიმედო გახდა ელექტროენერგიის მომარაგება, რაც განაპირობა დაწესებულმა საჯარიმო სანქციებმა, ელექტროენერგიის მიწოდების შეწყვეტის ხანგრძლივობის და სიხშირის დადგენილ

ნორმების ფარგლებზე გადაჭარბებისთვის. 2018 წელს შემცირდა ელექტროენერგიის მიერთებასთან დაკავშირებული საფასური.

❖ **ქონების რეგისტრაცია.**

❖ **მინორიტარულ ინვესტორთა უფლებების დაცვა.** 2017- 2018 წლებში საქართველოში გაიზარდა მცირე ინვესტორთა დაცვა აქციონერთა როლის და უფლებების გაზრდით ძირითადი გადაწყვეტილებების მიღებაში. ინვესტორთა დაცვა გაძლიერდა დირექტორთა წინააღმდეგ სასამართლო დავების პროცედურების გამარტივების მხრივადაც.

❖ **კრედიტის მიღება.** 2014 წელს გამკაცრდა და გაუმჯობესდა საკრედიტო ინფორმაციის სისტემა „პერსონალური მონაცემების დაცვის“ შესახებ კანონის მიღებით. რაც ზრდის დაცულობას როგორც მეწარმეებისთვის ასევე ინვესტორებისთვის.

❖ **გადასახედების გადახდა.** 2013 წელს ელექტრონული სისტემების გამოყენებამ გაამარტივა გადასახადების გადახდა. 2017 წელს გაუქმდა მოგების გადასახადის დეკლარაციის დამატებითი დანართი და გამარტივდა დღგ-ს დეკლარაციის დეკლარაციის წარსადგენი ონლაინ სისტემა. 2017 წლის პირველი იანვრიდან გაუნაწილებელი მოგება, რომელიც რეინვესტირების წყაროა, გათავისუფლდა მოგების გადასახადისგან. აქედან გამომდინარე, შემცირდა საგადასახადო ტვირთის წილი მთლიან მოგებაში და შეადგინა 9,9%, იგი წინა წლის მაჩვენებელზე ნაკლებია 6.5 პროცენტული პუნქტით.

❖ **ვაჭრობა საზღვრებს მიღმა.** გამარტივდა ექსპორტ-იმპორტთან დაკავშირებული პროცედურები, დაინერგა წინასწარ ელექტრონული დოკუმენტების წარდგენის ტექტოლოგიური შესაძლებლობა.

❖ **კონტრაქტების აღსრულება.** კონტრაქტების დავების საქმის წარმოების დაჩქარებისთვის გამარტივდა გასაჩივრების ელექტრონული სისტემა და სამართლიაონობის გაზრდის კუთხით საქართველოში შემოიღეს მოსამართლეთა შემთხვევით შერჩევის მექანიზმი.

❖ გადახდისუუნარიანობასთან დაკავშირებული საქმისწარმოების პროცედურები დაჩქარდა 2013 წლიდან. 2018 წლიდან გადახდისუუნარობის საქმის წარმოების პროცესის პარალელურად მოვალის საქმიანობის უწყვეტობის

უზრუნველსაყოფად არ ხდება საქმიანობის უწყვეტობისთვის აუცილებელი საქონლის და მომსახურების მიწოდების შეწყვეტა.

❖ შრომის ბაზრის რეგულირების მხრივს საქართველოში მოხდა ვადიანი ხელშეკრულების მაქსიმალური ხანგრძლივობის შემცირება და ასევე დასაქმებულთა გათავისუფლებისას აუცილებელი გახდა მისი წინასწარი გაფრთხილება.

საქართველოს ეკონომიკური განვითარების სტრატეგიის ძირითადი პრინციპი კერძო სექტორის თავისუფლების ზრდაა მთავრობის გამჭვირვალე და ეფექტიანი მუშაობის პირობებში. როდესაც ბიზნესი თვითონ იღებს გადაწყვეტილებებს უფრო მეტადაა დაცული საკუთრების უფლება. სახელმწიფო მინიმალურად ერევა სამეწარმეო საქმიანობის განხორციელებაში, შესაბამისად, არ უწევს კონკურენციას კერძო სექტორს. სახელმწიფო ერევა მხოლოდ იმ სფეროების საქმიანობაში, სადაც კერძო სექტორი არაეფექტიანია. ეკონომიკის წარმატებული ფუნქციონირებისთვის აუცილებელია როგორც ქვეყნის შიდა, ისე გარე ბაზარზე, თავისუფალი კონკურენციის არსებობა. სახელმწიფო ახდენს საერთაშორისო ვაჭრობაში ორმხრივი გახსნილობის ხელშეწყობას და თავისუფალი სავაჭრო რეჟიმის არეალის გაფართოებას. რაც შეეხება უცხოურ ინვესტიციებისადმი ქვეყნის მზაობის უზრუნველყოფას, მიიღწევა სტაბილური და პროგნოზირებადი ეკონომიკური პოლიტიკით და საერთაშორისო ფინანსურ ბაზრებთან ინტეგრირების და ფინანსური რისკების შემცირების გზით.

ცხრილიდან ჩანს საქართველოში საკმაოდ მომგებიანია საბანკო საქმე, მომგებიანი კომპანიების ათეულში 4 სწორედ საბანკო სექტორის წარმომადგენელ კომპანიებს უკავია მათ შორის კი ლიდერობს სს „თიბისი ბანკი“. ცხრილი შედგენილია იმ კომპანიების მიხედვით, რომლებმაც 2017 წელს საჯაროდ გამოაქვეყნეს აუდიტორული ანგარიშგებანი, შესაბამისად ის კომპანიები რომლებსაც აუდიტორული ანგარიში არ გამოუქვეყნებიათ ვერ მოხვდნენ აღნიშნულ რეიტინგში. ყველაზე მაღალი მოგების მქონე კომპანიები საქართველოში, რომელსაც Grant Thorton საერთაშორისო აუდიტორული კომპანიის მონაცემების მიხედვითაა შედგენილი ასე გამოიყურება:

ცხრილი №8

საქართველოს ყველაზე მომგებიანი კომპანიების ათეული

1.	სს „თიბისი ბანკი“	362,781,000
2.	სს „საქართველოს ბანკი“	338,907,000
3.	„მეტრო ავრასია ინვესთმენთ ჯორჯია“	189,393,000
4.	შპს „ტავ ურბან საქართველო“	156,652,000
5.	შპს „მაგთიკომი“	91,898,730
6.	„ლისი ლეიქ დეველოპმენტი“	78,289,750
7.	სს „ენერგო-პრო ჯორჯია“	73,493,000
8.	სს „კორპორაცია ფოთის საზღვაო ნავსადგური“	55,856,000
9.	სს „ლიბერთი ბანკი“	53014,000
10.	სს „ქართუ ბანკი“	49,718,000

წყარო: ცხრილი შედგენილია ჩემს მიერ Grant Thorton -ის 2017 წლის მონაცემების მიხედვით.

საქართველოში ეკონომიკური განვითარების შემაფერხებელ ფაქტორთა შორისაა კერძო სექტორის დაბალი კონკურენტუნარიანობა, ადამიანურ კაპიტალის არასათანადო განვითარება და შეზღუდული ხელმისაწვდომობა ფინანსებზე. ასეთ მდგომარეობაში ხელისუფლებამ უნდა მოახდინოს კერძო სექტორის წახალისება, ხელი შეუწყოს ინვესტიციების მოზიდვას და მოახდინოს სამართლიანი და დაცული ბიზნესგარემოს ფორმირება. მთავრობის მიზანია ბიზნესის განვითარების სტიმულირება სამეწარმეო უნარების განვითარების, ინოვაციების და ფინანსურ რესურსზე ხელმისაწვდომობის ზრდის ხელშეწყობით.

მწარმოებლურობაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ხელსაყრელი სამეწარმეო და საინვესტიციო გარემო, იგი პირდაპირ მოქმედებს კერძო სექტორში რესურსების ეფექტიან განაწილებაზე. ბიზნესის დაწყების და წარმოების ზრდისთვის საქართველოს მთავრობამ მიზნად დაისახა ყველა ადამიანს შეუქმნას თანაბარი შესაძლებლობები და უზრუნველყოს ბიზნესის სფეროში მმართველობის გამჭვირვალობა. ასევე ცდილობს ხელი შეუწყოს ბიზნესომბუდსმენის როლის გაძლიერებას საკუთრების უფლების დაცვის, ასევე კომერციული დავების გადაწყვეტასთან დაკავშირებით. საქართველოში ბიზნესსექტორის მხარდაჭერა ზრდის წარმოებილი პროდუქტისა და მომსახურების კონკურენტუნარიანობას. „საქართველოს და ევროკავშირს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმება“ ითვალისწინებს ბიზნესსაქმიანობის შეაბამისობაში მოყვანას ევროკავშირის მოთხოვნებთან, ამიტომაც სახელწიფო ახდენს ეფექტიანი მექანიზმის შემუშავებას

ბიზნესის, მათ შორის მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდასაჭერად, მათი კონკურენტუნარიანობის ზრდის მიზნით. ბიზნესის განვითარება დამოკიდებულია სამეწარმეო უნარების ამაღლებაზე, ამისათვის საქართველოში სსიპ მეწარმეობის განვითარების სააგენტოს ახდენს დამწყები მცირე და საშუალო ბიზნესის წარმომადგენლების სამეწარმეო უნარების განვითარების, ფინანსურ რესურსებზე ხელმისაწვდომობის, საექსპორტო პოტენციალის გაზრდის ხელშეწყობას. სსიპ საქარტველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების განვითარების სააგენტო უზრუნველყოფს სამეწარმეო ინოვაციების განვითარებას, ინოვაციური ეკოსისტემის გაუმჯობესებას და ექსპორტის კონკურენტუნარიანობის ზრდას.

ბიზნესის ეფექტიან და სწრაფ ფუნქციონირებას განაპირობებს სახელმწიფოს მხრიდან სხვადასხვა მომსახურებაზე ხელმისაწვდომობის ზრდა და ადმინისტრაციულ პროცედურებზე საჭირო დროის შემცირება, ამოტომაც სახელმწიფო ახდენს ელექტრონული მომსახურების განვითარებას და ელექტრონული მმართველობის სისტემის გაფართოებას. ასევე უზრუნველყოფს გამჭვირვალობას და საჯარო ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის ზრდას. ახორციელებს ღონისძიებებს რომელიც გაზრდის დიალოგს სახელმწიფოსა და ბიზნეს შორის, რომელიც თავის მხივ გამოიწვევს ბიზნესის ჩართულობას ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავებაში. ქვეყნის განვიტარების ძირიტადი მიზანია გააუმჯობესოს ქვეყნის სამეწარმეო და საინვესტიციო გარემო, რომელიც ხელს შეუწყობს ბიზნესის დაწყებას, არსებული ბიზნესის გაფარტოებას, მცირე და საშუალო ბიზნესის სწრაფ განვითარებას, უცხოური ინვესტიციების მოცულობის ზრდას, მწარმოებლურობის ამაღლებას, რაც გამოიწვევს საერთაშორისო შეფასებაში ქვეყნის პოზიციების გაუმჯობესებას.

იმის გასარკვევად თუ რამდენად იყენებენ ქართულ ბიზნესში ინვესტიციებს და როგორ გავლენას ახდენს იგი ბიზნესის და ეკონომიკის განვითარებისთვის ჩავატერეთ კვლევა „ უცხოური ინვესტიციები და მისი გავლენა ბიზნეს საქმიანობაზე“. კვლევის მიზანი იყო ქვეყნის საინვესტიციო კლიმატის ანალიზი და უცხოური ინვესტიციების მოცულობის განსაზღვრა ქართულ ბიზნესში. კვლევა ჩატარდა ელექტრონული ფორმით და გამოიკითხა 106 რესპოდენდი (იხ. დანართი დიაგრამა №5). მათგან შპს - 64.2% , ინდ მეწარმე - 11.3% , სს - 19.8% , 4.7% - სხვა.

გამოკითხულთა 41% ბიზნეს საქმიანობისას იყენებს უცხოურ ინვესტიციებს, 26.7% - ადგილობრივ ინვესტიციებს, ხოლო 32,4% არ სარგებლობს მოზიდული სახსრებით და ცდილობს საკუთარი რესურსებით განახორციელოს საქმიანობა (იხ. დანართი დიაგრამა №6). აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ადგილობრივი რესურსების სიმცირის მიუხედავად ბიზნეს სუბიექტები ცდილობენ შიდა რესურსების მოძიებას, ან საკუთარი რესურსებით ბიზნესის წარმოებას რაც განპირობებულია ქვეყანაში ჯერ კიდევ უცხოური ინვესტიციების მოცულობის სიმცირით, უცხოელი ინვესტორების ნაკლები ინტერესით ქართული ბაზრის მიმართ.

დიაგრამა №7

ბიზნესის წარმოების სიმარტივე



წყარო: დიაგრამა შედგენილია ჩვენს მიერ, კვლევის შედეგებზე დაყრდნობით.

გამოკითხვისას გამოიკვეთა ბიზნეს სექტორის შეხედულება ბოლო წლებში ბიზნეს საქმიანობის განხორციელებასთან მიმართებით. გამოკითხულთა 61.3% მიიჩნევს რომ, წინა წლებთან შედარებით ბიზნესის წარმოება გამარტივებულია, 9.4%-ის აზრით პირიქით - გართულებულია, ხოლო 17% თვლის რომ უახლოეს წლებში ბიზნესის წარმოებასთან დაკავშირებით მნიშვნელოვანი ცვლილებები არ მომხდარა. 12.3% -ს კი უჭირს ამ საკითხთან დაკავშირებით კონკრეტული პასუხის გაცემა.

კვლევის მიხედვით გამოკითხულთა 61.3% თვლის რომ საქართველოში საინვესტიციო გარემო ნაწილობრივაა მიმზიდველი უცხოელი ინვესტორისათვის და ჯერ კიდევ ბევრი ცვლელებებია განსახორციელებელი მიმზიდველი საინვესტიციო გარემოს ფორმირებისათვის. 18.9% თვლის რომ ქვეყანაში მიმზიდველი საინვესტიციო გარემოა, 9.4% -ის აზრით არ არის მიმზიდველი საინვესტიციო

გარემო, 10.4% -ს უჭირს გარემოს შეფასება და თავს იკავებს პასუხისაგან.(იხ. დანართი დიაგრამა №8)

საინტერესოა ის გარემოება რომ, ბიზნეს სუბიექტების 86.7% თვლის რომ, უცხოური ინვესტიციები ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაზე დადებით გავლენას ახდენს, მხოლოდ 9.5% თვლის რომ, უარყოფით გავლენას ახდენს, დანარჩენის აზრით კი, უცხოური ინვესტიციები არ ცვლის ქვეყნის ეკონომიკის განვითარებას. (იხ. დანართი დიაგრამა №9). დასაქმების მხრივ 83%-ის აზრით უცხოური ინვესტიციები ხელის უწყობს დასაქმებას 9.4%ის აზრით არ ცვლის, ხოლო 7.5% თვლის რომ ამცირებს დასაქმებას.(იხ. დანართი დიაგრამა №10).

დიაგრამა № 11

საქართველოში ინვესტორისათვის მიმზიდვიელი ფაქტორები



წყარო: დიაგრამა შედგენილია ჩვენს მიერ გამოკითხვის შედეგებზე დაყრდნობით.

გამოკითხვისას დაგვისახელეს ის ფაქტორები რომლებიც იზიდავს ინვესტორს ჩვენს ქვეყანაში, ესენია: 14%-ის აზრით გეოგრაფიული მდებარეობა, 28%-ის აზრით ქვეყანაში არსებული აუთვისებელი ბუნებრივი რესურსები, 8% ფიქრობს რომ საქართველოში მარტივია უცხოელი ინვესტორისთვის ბიზნესის წარმოება, 6%-ის აზრით ინვესტირებისას ასევე ითვალისწინებენ იაფ შრომის რესურსს, 44% პროცენტმა სხვა მრავალი მიზეზი დაასახელეს თუ რა ფაქტორებიც შეიძლება გახდეს ინვესტორისთვის ჩვენი ქვეყნით დაინტერესების მიზეზი, მათ შორისაა ეკოლოგიურად სუფთა გარემო, ქვეყნის გეოპოლიტიკური მდგომარეობა და სხვა.

ქვეყანაში არსებული მდგომარეობიდან გამომდინარე ჩვენ შევეცადეთ დაგვედგინა ის სფეროები, სადაც თვლიან ბიზნეს სუბიექტები რომ, აუცილებელია ინვესტიციების მოზიდვა: მრეწველობა 27%, ტურიზმი 19%, ჯანდაცვა 10%, 5% ენერგეტიკა, მშენებლობა 9%, სხვა 16 %.

დიაგრამა №12

სფერო სადაც საჭიროა ინვესტიციების მოზიდვა



წყარო: დიაგრამა შედგენილია ჩვენს მიერ კვლევის მიხედვით.

იმისათვის, რომ ქვეყანაში მოხდეს მეტი ინვესტიციების შემოდინება საჭიროა სხვადასხვა ფაქტორების გათვალისწინება. გამოკითხულთა შეხედულებები შემდეგნაირად დაიყო: 20% თვლის ინვესტიციების მოცულობის ზრდისთვის აუცილებელია ეკონომიკურ-პოლიტიკური სტაბილურობის არსებობა ქვეყანაში, 25% -ის აზრით საწიროა ცვლილებების შეტანა კანონმდებლობაში უცხოურ ინვესტიციებთან მიმართებაში და გადასახადების შემცირება, 9% ფიქრობს რომ სხვა ფაქტორებტან ერთად აუცილებელია კვალიფიკაციური შრომის რესურსის არსებობა, 13% თვლის რომ, ქვეყნის აქტიურობა საერთაშორისო ბაზარზე და ქვეყნის რესურსული პოტენციალის გაცნობა უცხოელებისთვის გამოიწვევს მათ დაინტერესებას ილლნვესტირებისთვის, ასევე სხვა მრავალი ფაქტორი დასახელდა რაც აუცილებელია გაკეთდეს იმისთვის რომ მოხდეს მეტი უცხოური ინვესტიციების შემოდინება, რაც გამოიწვევს ქვეყნის ეკონომიკის აღმა სვლას.

დიაგრამა №13

საინვესტოციო გარემოს გაუმჯობესებისთვის საჭირო ფაქტორები



წყარო: დიაგრამა შედგენილია კვლევის შედეგებზე დაყრდნობით.

გამოკითხვლლის შედეგად შეიძლება ვთქვათ რომ საქართველოში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს უცხოურ ინვესტიციებს, რომელიც გავლენას ახდენს ქვეყანაში ბიზნესის განვითარებაზე, ასევე უნდა ავღნიშნოთ რომ გამოკითხულთა უმრავლესობის აზრით სხვადასხვა ღონისძიებებია გასატარებელი ინვესტორების ხელშესაწყობად, რადგან ისინი თავის მხრივ ხელს შეუწყობენ ბიზნესის გაფართოებას და განვითარებას.

დასკვნები და რეკომენდაციები:

ინვესტიცია გულისხმობს ნებისმიერი სახის ფულადი, ქონებრივი და ინტელექტუალური ფასეულობის ან უფლების გრძელვადიან დაბანდებას საკუთარ ან

უცხო ქვეყანაში სამეწარმეო და სხვა ობიექტებში, რომელიც გამოიყენება შესაძლო მოგების ან სხვა სახის სარგებლის მიღების მიზნით.

ამრიგად, საქართველოს ეკონომიკის რეფორმების მნიშვნელოვანი ამოცანაა უცხოური ინვესტიციების მოზიდვა, რაც განპირობებულია ქვეყანაში არასაკმარისი ფინანსური რესურსებით, ტექნოლოგიური ჩამორჩენით, დაბალკვალიფიციური მუშახელის არსებობით. ქვეყანაში არ არსებობს საკმარისი ფინანსური რესურსი რომლის ინვესტირებაც შეიძლება მოხდეს ეკონომიკის სხვადასხვა სექტორის განვითარებისთვის. გამომდინარე აქედან ქვეყანა ორიენტირებულია უცხოური ინვესტიციების მოცულობის ზრდისთვის ხელსაყრელი საინვესტიციო გარემოს შექმნაზე.

საინვესტიციო გარემო სოციალურ-ეკონომიკურ ურთიერთობათა სისტემას გულისხმობს, რომელიც ფორმირდება მიკრო და მაკრო ეკონომიკაზე ურთიერთდაკავშირებული პროცესების გავლენის შედეგად და წარმოქმნის მდგრად საინვესტიციო მოტივაციას. საქართველოში არსებულ საინვესტიციო გარემოზე მოქმედებს ქვეყნის მაკროეკონომიკური პარამეტრები, ფინანსური მდგომარეობა, კერძო საკუთრების საკითხები, საგარეო ვალი, ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის საკითხები, ქვეყნის გეოპოლიტიკური და ეკონომიკური მდგომარეობა და ფორსმაჟორული სიტუაციის წარმოქმნის საშიშროება.

საქართველოში საყურადღებოა ერთი მხრივ უცხოური ინვესტიციების მოზიდვის და განვითარების საკითხი, მეორე მხრივ, ეროვნული ეკონომიკის სუვენერიტეტის და ბიზნესის განვითარების საკითხი. ქვეყნის პოლიტიკა მიმართულია გამარტივებული საინვესტიციო პროცესების უზრუნველყოფისკენ, მოქმედებს „ღია კარის“ პრინციპი.

შეგვიძლია ვთქვათ, რომ საქართველოში უცხოური ინვესტიციები ნამდვილად დიდ გავლენას ახდენს ეკონომიკურ ზრდაზე, წარმოების განვითარებაზე, ქვეყანაში კონკურენტუნარიანი საექსპორტო პროდუქციის შექმნაზე, თანამედროვე ტექნოლოგიების შემოდინებაზე და რათქმაუნდა, დასაქმების ზრდაზე.

ამრიგად, უნდა აღვნიშნოთ, რომ უცხოური ინვესტიციების ეფექტიანობაზე გავლენას ახდენს მოზიდული ინვესტიციების ხარისხი და რაოდენობა, ქვეყნის უნარი დროულად და ეფექტიანად მოახდინოს ინვესტიციების აპრობირება,

განათავსოს საჭირო დარგებში და რეგიონებში. ქვეყანამ უნდა გამოიყენოს პროგრესული ტექნოლოგიები და მენეჯმენტი რადგან მაქსიმალური შედეგი მივიღოთ. საქართველოს მთავრობა დაინტერესებულია განავითაროს ისეთი პერსპექტიული დარგები როგორიცაა სადაზღვევო და საბანკო საქმე, მომსახურების სფერო და მაღალტექნოლოგიური დარგები. თავის მხრივ ინვესტორი ინვესტირების განხორციელებამდე ითვალისწინებს:

- ადგილობრივი ეკონომიკის სტაბილურობას და ინფლაციის დაბალ დონეს;
- ქვეყნის ხელისუფლების ინვესტირებისადმი ადეკვატურ დამოკიდებულებას;
- რეციპიენტი ქვეყნიდან მოგების თავისუფლად გადაადგილების შესაძლებლობას;
- ინვესტიციების ლიკვიდირებისას წარმოქმნილი სახსრების ქვეყნიდან თავისუფლად გატანის შესაძლებლობას.

საქართველოში თანდათანობით იქმნება ხელსაყრელი პირობები საინვესტიციო საქმიანიბის მაშტაბური რეალიზაციისთის, მაგრამ გასათვალისწინებელია მათი დაფინანსების და რეალიზაციის რისკები და აუცილებელია ამ რისკების მართვა.

საინტერესოა ის ფაქტორი, რომ ინვესტიციების განხორციელება საზღვარგარეთულ ბაზრებზე უფრო სარისკოა, ვიდრე ქვეყნის შიგნით. ეს ფაქტორი განპირობებულია სხვა რისკებთან ერთად დამატებითი რისკებით საერთაშორისო ინვესტიციებში. ეს რისკებია:

- პოლიტიკური რისკები,
- სავალუტო რისკები,
- ლიკვიდობის რისკი.

მას შემდეგ რაც საქართველო, მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში გაწევრიანდა, საგარეო ეკონომიკური ურთიერთობები გაამყარა ამერიკის შეერთებულ შტატებთან და ევროგაერთიანების სხვა ქვეყნებთან. საქართველომ მოახდინა მსოფლიო სავაჭრო სისტემაში სრული ინტეგრაცია. ქვეყანამ მოახერხა

სტაბილურობის გამტკიცება და ინვესტიციების მოსაზიდად ხელსაყრელი გარემოს შექმნა.

ქვეყანა საერთაშორისო ბაზარზე გაზრდილი კონკურენციის პირობებში უცხოელ ინვესტორებს სთავაზობს: შემცირებულ გადასახადებს, ლიბერალურ საგადასახადო სისტემას, სტაბილურ საბანკო სისტემას, გამართულ და მოქნილ შრომით კანონმლდებლობას, იაფ შრომით რესურსს, გამარტივებულ საბაჟო და საგადასახადო პრლოცედურებს, ადმინისტრაციული პროცედურების სიმარტივეს, მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშემწყობ პროექტებს .

თუმცა, არსებობს უარყოფითი ფაქტორები რომლებიც უარყოფით გავლენას ახდენს ინვესტიციებზე : ქვეყანაში არსებული კომფლიქტური რეგიონები, ბაზრის მცირე ზომა, კვალიფიციური მუშახელის არ არსებობა, ტექნოლოგიების დაბალი დონე, მაღალი საპროცენტო განაკვეთი, სახელმწიფო ვალი და სხვა.

თანამედროვე განვითარებადი ქვეყნების მნიშვნელოვანი ამოცანაა უცხოური ინვესტიციების მოზიდვასთან ერთად ბიზნესის კეთების ხელსაყრელი გარემოს ფორმირება. მოწესრიგებული, სტაბილური და მიმზიდველი ბიზნეს გარემო არის საფუძველი სახელმწიფოს წინაშე არსებული სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების და ქვეყნის მოსახლეობის მდგომარეობის გაუმჯობესების.

ბიზნეს გარემო არის სოციალური, ტექნოლოგიური, ეკონომიკური და პოლიტიკური გარემოს ერთობლიობა, რომელიც უზრუნველყოფს ქვეყანაში ბიზნესის განვითარების შესაძლებლობებს.„ბიზნეს-გარემოს გამართული ფუნქციონიერბისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს ქვეყანაში სრულყოფილი კონკურენციილს არსებობას,მოტივაციის სისტემის სრულყოფას, სამეურნეო საქმიანობის თალლვისუფლებას, სამეწარმეო პოტენციალის გამოვლენას, სამართლებრივ გარანტიებს, პოლიტიკურ-ეკონომიკური და სოციალურ სტაბილურობას.

ქვეყანაში არსებული ხელსაყრელი სამეწარმეო და საინვესტიციო გარემოს შეუძლია დადებითად იმოქმედოს მწარმოებლურობაზე, ვინაიდან იგი ზეგავლენას ახდენს კერძო სექტორში რესურსების განაწილებაზე. გაზრდილი გლობალური კონკურენცია, დინამიკური ეკონომიკური პროცესები ცვლის ბიზნესის მოთხოვნებს, ამიტომაც აუცილებელია ბიზნესის ეფექტიან და სწრაფ ფუნქციონირებას

განაპირობებს სახელმწიფოს მხრიდან სხვადასხვა მომსახურებაზე ხელმისაწვდომობის ზრდა და ადმინისტრაციულ პროცედურებზე საჭირო დროის შემცირება, ამოტომაც სახელმწიფო ახდენს ელექტრონული მომსახურების განვითარებას და ელექტრონული მმართველობის სისტემის გაფართოებას. ასევე უზრუნველყოფს გამჭვირვალობას და საჯარო ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის ზრდას.

საქართველოში ხელსაყრელი საინვესტიციო გარემოს ფორმირება სხვადასხვა სოციალურ, ეკონომიკურ და პოლიტიკურ ფაქტორებზეა დამოკიდებული. ქვეყნის ეკონომიკის განვითარებისთვის აუცილებელია უცხოური ინვესტიციების მოზიდვა, რომელიც უზრუნველყოფს თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვას, მომსახურების სფეროს გაუმჯობესებას, ხარისხიანი პროდუქტის წარმოებას, უმუშევრობის დონის შემცირებას, კვალიფიციეური შრომის რესურსის ზრდას.

მნიშვნელოვანი როლი აქვს სახელმწიფოს ინვესტიციების ზრდისათვის, რომელიც გამოიწვევს ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას. რეკომენდირებულია სახელწიფომ უზრუნველყოს:

- ხელსაყრელი საინვესტიციო გარემო;
- საკუთრების უფლების დაცვა;
- სამართლებრივი რეგულირების და ბიზნესის შეღავათიანი დაბეგვრის სისტემა;
- საბაზრო ინფრასტრუქტურის განვითარება;
- კორუფციის აღმოფხვრა;
- ინოვაციების განვითარების ხელშეწყობა და ახალი ტექნოლოგიების დანერგვა;
- სამუშაო ძალის კვალიფიკაციის ამაღლება;
- მცირე და საშუალო ბიზნესის სტიმულირება;
- პოლიტიკური სტაბულირობა;

იმისათვის, რომ ქვეყანამ მაქსიმალური სარგებელი მიიღოს პირდაპირი უცხოური ინვესტიციებისგან, საჭიროა მოხდეს განსაზღვრა იმის, თუ რომელი პირდაპირი უცხოური ინვესტიციის მოტივაციას შეუძლია დადებითი გავლენა იქონიოს ქვეყნის ეკონომიკაზე და რომელი დარგებია პრიორიტეტული, ასევე

მნიშვნელოვანია სახელმწიფომ და ადგილობრივმა ორგანიზაციებმა გაზარდონ დაფინანსება კვლევების და განვითარებისთვის. მეცნიერთა გარკვეული ჯგუფი მიიჩნევს რომ, ინვესტიციათა ჩადება კვლევებსა და განვითარებაში, ინვესტიციების მიმღები ქვეყნის ფირმებს მულტინაციონალური კომპანიებისგან მეტ ცოდნის მიღების შესაძლებლობას აძლევს. რესურსების მაძიებელი და ეფექტიანობის მაძიებელი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვა, გამოიწვევს ვაჭრობის განვითარებას და რაც დადებით გავლენას მოახდენს ექსპორტის ზრდაზე. მაშინ, როცა საქართველოში მოღვაწე ბუნებრივი რესურსების მაძიებელი კომპანიები, ძირითადად ადგილობრივ რესურსებს იყენებენ და ორიენტირებული არიან ექსპორტზე. ბაზრის ათვისებაზე ორიენტირებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციები, გარდა იმისა რომ არ არის დაინტერესებული საექსპორტო საქმიანობით, ზოგიერთი დარგის შემთხვევაში შეიძლება სრულიად უსარგებლო იყოს ქვეყნის ეკონომიკისთვის.

საქართველოს აქვს პოტენციალი, სტრატეგიული გეოგრაფიული მდებარეობა, კარგი ბუნებრივ-კლიმატური პირობები, ბუნებრივი რესურსები რომლებიც იზიდავს ინვესტორს, თუმცა სასურველია საქართველო თუ დაიჭერს ერთგვარ „ოქროს შუალედს“ უცხოურ ინვესტიციებსა და ადგილობრივი ბიზნესის განვითარებისას და მოახერხებს ინვესტიციების მოზიდვის პარალელურად ხელი შეუწყოს ადგილობრივი წარმოების განვითარებას და მაქსიმალურად გამოიყენოს არსებული რესურსები, შეიმუშაოს ანტიკრიზისული პროგრამები და მოტივაცია მიცეს ეროვნული წარმოების განვითარებას.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. **ბარათაშვილი ე., მაგრაქველიძე დ.** - „ საქართველოში საინვესტიციო გარემოს სრულყოფის პრინციპები“, თბილისი 2009წ.

2. **მაგრაქველიძე დ. –** „ფინანსური რისკები და მათი მართვის მეთოდები“, თბილისი 2012წ.

3. **კურტანიძე გ.-„**ფინანსური ინვესტირების პროცესთა განვითარების პერსპექტივები საქართველოში“, სადოქტორო დისერტაცია, თბილისი 2008

4. **საქართველოს კანონი „საინვესტიციო საქმიანობის ხელშეწყობისა და გარანტიების შესახებ“,** თბილისი 2019წ.

5. **ქოქიქური ლ.** – „ინვესტიციების თეორიული გენეზისი“, თბილისი 2007წ.

6. **ყუფარაძე გ.** – „საგადასახადო პოლიტიკა და პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საქართველოში“ , (მონოგრაფია), თბილისი 2013წ.

7. **ჭარაია ვ.** – „პირდაპიტი უცხოური ინვესტიციების როლი და მნიშვნელობა ქვეყნის ეკონომიკური ზრდისათვის“, სადოქტორო დისერტაცია . თბილისი 2015წ.

გამოყენებული ელექტრონული დოკუმენტები:

8. „საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია საქართველო 2020.“ მოძიებულია 23 მაისი, 2020 http://gov.ge/files/382_42949_233871_400-1.pdf

9. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. „პირდაპირი უცხოური ინვესტიციები“. https://www.geostat.ge/ka/modules/categories/191/pirdapiri-utskhouri-investitsiebi, მოძიებული 5 აპრილი, 2020;

10. ჟურნალი „Forbes” (09 სექტემბერი, 2019) „მეორე კვარტალში უცხოური ინვესტიციები 54 პროცენტით შემცირდა“, მოძიებულია 16 მაისი, 2020; https://forbes.g e/news/7061/ucxouri-investiciebi-54-procentiT-Semcirda

11. ჟურნალი “Forbes” (12 ივნისი, 2018), „საქართველოს TOP ინვესტორი კომპანიები“, https://forbes.ge/news/4063/TOP-investori-kompaniebi- , მოძიებულია 13 აპრილი, 2020;

12. საინფორმაციო სააგენტო „Business MEDIA Georgia” (მარტი, 2020), „საქართველოს უმსხვილესი ინვესტორიქვეყნების რეიტინგი“, მოძიებულია 19 მაისი, 2020 https://bm.ge/ka/article/saqartvelos-umsxvilesi-investori-qveynebis-reitingi/50594/

13. იმედინიუსი (Imedinews) (ივლისი 2020) , „ჩინელი ინვესტორი : ვგეგმავთ, რომ ჩვენი წარმოება სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიიდან გადმოვიტანოთ საქართველოში“,

https://imedinews.ge/ge/ekonomika/152897/chineli-investori-vgegmavt-rom-chveni-tsarmoeba-samkhret--agmosavlet-aziidan-gadmovitanot-saqartveloshi-sadats-arachveulebrivi-sainvestitsio-pirobebia ;

14. მედიაჰოლდინგი „კვირა“ (სექტემბერი 2019), „რატომ შემცირდა პირდაპირი უცხოური ინვესტიციები.“ მოძიებულია 02 მაისი, 2020,ნ http://kvira.ge/499272 ;

15. ბიზნესისა და ეკონომიკის სიახლეები (თებერვალი 2020) , მოძიებულია 30 მარტი, 2020, https://www.bpn.ge/article/65683-tegeta-motorsma-evropuli-biznes-asociaciis-eba-s-bordis-shexvedras-umaspinzla/;

16. „ეუ4ბიზნესს“ (EU4Business) „ვაჭრობის შეთანხმებები.“ მოძიებულია 27 აპრილი, 2020 (https://eu4business.eu/ka/news/kerzo-sektoris-biznes-organizaciebi-agmosavlet-partniorobis-kveqnebidan-uketes-biznes-garemos%20%20+ ;

17. „ალიანს ჯგუფი“ ბათუმში პირველ ენერგოეფექტურ სავაჭრო და ბიზნეს ცენტრს ააშენებს” (04 იანვარი, 2019). მოძიებულია 07 ივნისი, 2020 https://propertygeorgia.ge/ge/news/alians-jgupi-batumshi-pirvel-energoepektur-savachro-da-biznes-tsentrebs-aashenebs

18. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო (დეკემბერი 2018), „ბიზნეს სექტორი.“ მოძიებულია 13 ივნისი, 2020 http://www.economy.ge/uploads/files/2017/biznes_seqtori/business_sector_12_2018_geo.pdf

19. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო (მაისი 2019), „ბიზნესის კეთება, 2019.“ მოძიებულია 14 ივნისი, 2020 http://www.economy.ge/uploads/files/2017/reitingebi/doing_business_2019_7_05_geo.pdf

20. ბიზნეს მედია ჯორჯია (BUSINESS MEDIA GEORGIA) (ივნისი 2020), „რომელი ქვეყნებიდან შემცირდა პირდაპირი უცხოური ინვესტიციები. “ მოძიებულია 15 ივნისი, 2020 https://bm.ge/ka/article/romeli-qveynebidan-shemcirda-pirdapiri-ucxouri-investiciebi/58147/ ;

21. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (მარტი 2020), „ პირდაპირი უცხოური ინვესტიციები 2019 წლის წლიური და 2019 წლის IVკვარტალში“, მოძიებულია 25 მაისი, 2020 https://www.geostat.ge/media/30097/%E1%83%9E%E1%83%98%E1%83%A0%E1%83%93%E1%83%90%E1%83%9E%E1%83%98%E1%83%A0%E1%83%98-%E1%83%A3%E1%83%AA%E1%83%AE%E1%83%9D%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%98-

%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%95%E1%83%94%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98-2019-%E1%83%93%E1%83%90-19-%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%9D%E1%83%97%E1%83%AE%E1%83%94-%E1%83%99%E1%83%95%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%A2%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%98.pdf

დანართები:

ჩატარებული კვლების შედეგები

კითხვარის ლინკი: https://docs.google.com/forms/d/1kD0v9m3ky__w598dh_sZyNyz-rplamjMh2XQrn6LNaI/edit#responses

დიაგრამა № 5

ბიზნესის იურიდიული სტატუსი.



წყარო: დიაგრამა შედგენილია გამოკითხვის შედეგებზე დაყრდნობით.

დიაგრამა № 6

ბიზნესში არსებული ინვესტიციების სახეები

დიაგრამა № 8

საქართველოში ინვესტირებისათვის მიმზიდველი გარემო



წყარო: დიაგრამები შედგენილია კვლევის შედეგების მიხედვით.

დიაგრამა №9

შესაძლებელია თუ არა ბიზნესის არსებობა უცხოური ინვესტიციების გარეშე.



წყარო: დიაგრამა შედგენილია ჩვენს მიერ კვლევის შედეგებზე დაყრდნობით.

დიაგრამა №10

ინვესტიციები დასაქმებასთან მიმართებაში.



წყარო: დიაგრამა შედგენილია ჩვენს მიერ კვლევის შედეგებზე დაყრდნობით.